პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის

სპეციალური ანგარიში

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის საუკეთესო ევროპული პრაქტიკისა და სტანდარტის დანერგვის მიზნით

2022-2024 წლებში სამსახურის მიერ განხორციელებული საერთაშორისო აქტივობების შესახებ

სპეციალური ანგარიში მომზადებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, რომლის თანახმად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით, ნებისმიერ დროს გამოაქვეყნოს სპეციალური ანგარიში იმ საკითხთა შესახებ, რომლებიც მის საქმიანობას უკავშირდება და მას მნიშვნელოვნად მიაჩნია. წინამდებარე ანგარიში მოიცავს ინფორმაციას სამსახურის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ 2022 წლის პირველი მარტიდან 2024 წლის ჩათვლით საანგარიშო პერიოდში.

სარჩევი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის მიმართვა 5

შესავალი 7

1. ურთიერთთანამშრომლობა ევროკავშირის ინსტიტუციებთან 8

1.1. „მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს“ (“EDPB”) საქმიანობის სადამკვირვებლო სტატუსის მოპოვება 8

1.2. თანამშრომლობა „ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის“ (“EDPS”) ინსტიტუციასთან 9

2. სამსახური — საერთაშორისო ღონისძიებების მასპინძელი უწყება..... 11

2.1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოთა ევროპული კონფერენციის“ მასპინძელი უწყება 11

2.1.1. სამსახურის მონაწილეობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოთა ევროპული კონფერენციაში“ 11

2.2.2. სამსახურის მიერ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოთა ევროპული კონფერენციის“ სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია 14

2.2. „ტექნოლოგიის მიმართულებით მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სამუშაო ჯგუფის“ რიგით 75-ე შეხვედრის მასპინძელი უწყება..... 15

3. ურთიერთთანამშრომლობა ევროკავშირისა და სხვა პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებთან 17

3.1. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები პერსონალურ მონაცემთა დაცვის კოლეგა საზედამხედველო ორგანოებთან 17

3.1.1. თანამშრომლობა ხორვატიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სააგენტოსთან 17

3.1.2. თანამშრომლობა იტალიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოსთან..... 17

3.1.3. თანამშრომლობა სან მარინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოსთან..... 18

3.1.4. საერთაშორისო თანამშრომლობის სამომავლო ხედვა 19

3.2. გაცნობითი ხასიათის შეხვედრები და ერთობლივი ღონისძიებები 20

4. სამსახურის წარმომადგენლობა დარგობრივ საერთაშორისო ფორუმებში 24

4.1. სამსახურის მიერ გამართული საერთაშორისო ღონისძიებები..... 24

4.2. სამსახურის მონაწილეობა დარგობრივ საერთაშორისო ფორუმებში 29
4.2.1. საერთაშორისო დარგობრივ პლატფორმებში გაწევრიანება 29
4.2.2. მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებსა და ღონისძიებებში 32
5. თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან 39
6. საქართველოს სახელით წარსადგენი პერიოდული ანგარიშების მომზადებაში მონაწილეობა 49
7. 28 იანვარი — პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო დღე 51
8. საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული სხვადასხვა აქტივობა 53

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის მიმართვა

წარმოგიდგენთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის სპეციალური ანგარიშს, საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე, ევროკავშირის ინსტიტუციებთან, პერსონალურ მონაცემთა დაცვის კოლეგა საზედამხედველო ორგანოებთან სამსახურის თანამშრომლობისა და უწყების საერთაშორისო ინსტიტუციური ცნობადობის ამაღლების თაობაზე. ანგარიშში ასახულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის საუკეთესო ევროპული პრაქტიკისა და სტანდარტის დანერგვის მიზნით, 2022-2024 წლებში სამსახურის მიერ განხორციელებული საერთაშორისო აქტივობები და ინიციატივები.

2022 წლიდან პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის სტრატეგიის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას ევროპული ღირებულებების მხარდაჭერა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების დამკვიდრება წარმოადგენს. ამ მიზნით სამსახური წარმოდგენილია ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს დონეზე მოქმედ სხვადასხვა დარგობრივ პლატფორმაში, ვთანამშრომლობთ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისა და სხვა ქვეყნების პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და მივისწრაფვით მათთან თანამშრომლობის გაფართოებისაკენ.

წინამდებარე ანგარიშში განხილულია 2022-2024 წლებში სამსახურის მიერ საერთაშორისო დონეზე განხორციელებული ძირითადი აქტივობები ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან შესაბამისობის გაძლიერების, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერების, საერთაშორისო თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმატში მონაწილეობის მიმართულებით.

განსაკუთრებული მადლიერებით მსურს აღვნიშნო ჩვენი ევროპელი კოლეგებისა და საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერა, რის საფუძველზეც სამსახურის სახელით არაერთი პროექტი თუ ინიციატივა განხორციელდა. უაღრესად მნიშვნელოვანია „მონაცემთა დაცვის ევროპულ საბჭოსთან“ (“EDPB”), „ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველთან“ (“EDPS”) სამსახურის თანამშრომლობის უპრეცედენტო ფორმატი და ევროპის ქვეყნების პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებთან ჩვენი სამსახურის პარტნიორული ურთიერთობა. აღსანიშნავია

სამსახურის მიერ 2025 წელს, 6-9 მაისს დაგეგმილი საერთაშორისო ღონისძიებებიც — კერძოდ, მომდევნო წელს, ბათუმში სამსახური უმასპინძლებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოთა ევროპული კონფერენციასა“ (ე. წ. „საგაზაფხულო კონფერენცია“), ხოლო ივნისში, თბილისში — „ტექნოლოგიის მიმართულებით მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სამუშაო ჯგუფის“ (ე.წ. „ბერლინის სამუშაო ჯგუფი“) რიგით 75-ე შეხვედრას, რომელიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ქართული სამართლის განვითარებისა და სადისკუსიო პლატფორმების გაფართოებას.

დაბოლოს, მსურს კვლავ აღვნიშნო პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის სტრატეგიული მიზანი — ევროპული ფასეულობების დაცვით, ქვეყანაში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის კულტურის ამაღლება. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საქმიანობის უალტერნატივო პრიორიტეტია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ევროპულ სტანდარტებთან თანხვედრა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის პარტნიორ უწყებებთან თანამშრომლობის გაღრმავება და საუკეთესო პრაქტიკის იმპლემენტაცია, ეფექტიანი საზედამხედველო ფუნქციის განხორციელების მიზნით.

სამართლის დოქტორი, ლელა ჯანაშვილი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ბარსელონის ავტონომიური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

შესავალი

გლობალურ და რეგიონალურ დონეზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის სივრცეში საქართველოს როლის განსამტკიცებლად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური მიზნად ისახავს საერთაშორისო ინსტიტუციური ცნობადობის გაძლიერებას და თანამშრომლობის გაღრმავებას. საერთაშორისოსამართლებრივ ინსტრუმენტებთან ეროვნული კანონმდებლობის დაახლოებისა და საუკეთესო ევროპული პრაქტიკის დანერგვის მიზნით, 2022-2024 წლებში სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების მონაცემთა დაცვის კოლეგა საზედამხედველო ორგანოებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და მიისწრაფვის მათთან ურთიერთობის გაღრმავებისკენ. სამსახური სისტემურად შეისწავლიდა საერთაშორისო დარგობრივ ტენდენციებსა და არსებულ სირთულეებს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის საუკეთესო ევროპული პრაქტიკის დანერგვისა და სამსახურის ყოველდღიურ საქმიანობაში იმპლემენტაციის მიზნით.

საერთაშორისო დონეზე მაღალი ინსტიტუციური წარმომადგენლობისა და პარტნიორ უწყებებთან თანამშრომლობის გაფართოების ინტერესიდან გამომდინარე, საანგარიშო პერიოდში სამსახური პერიოდულად მონაწილეობდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის დარგსა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სფეროში დაგეგმილ საერთაშორისო ღონისძიებებში. აღსანიშნავია, რომ უწყება განაგრძობს მონაცემთა დაცვის თანამედროვე, ევროპული სტანდარტების მხარდაჭერასა და ინიცირებას. საქართველოს მონაცემთა დაცვის ადეკვატური სტანდარტის მქონე ქვეყნად მიჩნევისთვის შესასრულებელ მოთხოვნებზე მსჯელობისათვის, სამსახური კონსულტაციების მართავს ევროკავშირის შესაბამის სტრუქტურებთან და ინსტიტუტებთან. საუკეთესო გამოცდილების გაზიარების, ერთობლივი ღონისძიებების გამართვისა და აქტივობების დაგეგმვის მიზნით, სამსახური აქტიურად მართავს ორმხრივ შეხვედრებს საზღვარგარეთის ქვეყნების პერსონალურ მონაცემთა დაცვის ორგანოებთან. აღსანიშნავია, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფარგლებში მიღებული ექსპერტული კონსულტაციები და მხარდაჭერა, მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების შესწავლისა და სამსახურის ყოველდღიურ საქმიანობაში იმპლემენტაციისთვის.

1. ურთიერთთანამშრომლობა ევროკავშირის ინსტიტუციებთან

1.1. „მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს“ (“EDPB”) საქმიანობის სადამკვირვებლო სტატუსის მოპოვება

2023 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა „მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს“ (“EDPB”) დამკვირვებლის სტატუსი მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ 2023 წლის ივნისიდან, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსი და სამსახურის თანამშრომლები მონაწილეობას იღებს „მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს“ პლენარულ სხდომებში და წარმოადგენს სამსახურს, როგორც საბჭოს საქმიანობის სადამკვირვებლო სტატუსის მქონე მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს.

„მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭო“, როგორც ევროკავშირის ორგანო, შეიქმნა ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის“ (“GDPR”) 68-ე მუხლის საფუძველზე და 2018 წლის 25 მაისიდან წარმოადგენს „პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასა და აღნიშნულ მონაცემთა თავისუფლად მოძრაობასთან დაკავშირებით ფიზიკური პირების უფლებების დაცვის შესახებ“ ევროპარლამენტისა და საბჭოს 1995 წლის 24 ოქტომბრის №95/46/EC დირექტივის 29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფის სამართალმემკვიდრეს. იგი შედგება ევროკავშირის თითოეული წევრი სახელმწიფოს მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს, ევროკომისიისა და „ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის“ (“EDPS”) წარმომადგენლებისაგან. აგრეთვე, მის საქმიანობაში მონაწილეობის უფლებით სარგებლობს ევროკომისია. საბჭო არსებით როლს ასრულებს ევროკავშირის მასშტაბით პერსონალურ მონაცემთა დაცვის რეგულაციების ეფექტიან უზრუნველყოფასა და მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოთა თანმიმდევრული, ერთგვაროვანი და საუკეთესო პრაქტიკის ჩამოყალიბებაში. კერძოდ, იღებს სავალდებულო იურიდიული ძალის მქონე გადაწყვეტილებებს, აქვეყნებს მოსაზრებებს, კონსულტაციებს უწევს ევროკომისიას ევროკავშირში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ნებისმიერ საკითხზე, აგრეთვე, შეიმუშავებს სახელმძღვანელო პრინციპებსა და რეკომენდაციებს.

2023 წელს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის მიმართვის საფუძველზე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის დამკვირვებლის სტატუსის მინიჭებაზე საბჭომ გადაწყვეტილება რამდენიმე კრიტერიუმის გათვალისწინებით, მისი რეგლამენტის (“RoP”) 8.1. მუხლის საფუძველზე მიიღო, რომლის თანახმად, საბჭომ შესაძლებელია, შესაბამისი მოთხოვნის წარდგენის

შემთხვევაში, მიანიჭოს ევროპის კავშირის არაწევრი სახელმწიფოს მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს დამკვირვებლის სტატუსი, თუკი აღნიშნული შედის საბჭოს ინტერესში და დაკმაყოფილებულია ორი კუმულაციური პირობა: ევროკავშირის არაწევრი სახელმწიფოს მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანო საქმიანობს სრული დამოუკიდებლობა დაცვით; მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანო დაფუძნებულია იმ არაწევრ სახელმწიფოში, რომელმაც ევროკავშირში გაწევრიანების მიზნით, აიღო საერთაშორისო ვალდებულება, სრულად შეუსაბამოს მონაცემთა დაცვის ეროვნული კანონმდებლობა ევროკავშირში მოქმედ მომწესრიგებელ წესებს.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მონაწილეობა საბჭოს პლენარულ სხდომებში უაღრესად მნიშვნელოვანია საუკეთესო ევროპული გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით. აღნიშნულ ფორმატში თანამშრომლობა უზრუნველყოფს სამსახურის საქმიანობაში თანამედროვე საზედამხედველო მიდგომების დანერგვას და ეფექტიანობის გაზრდას.

1.2. თანამშრომლობა „ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის“ (“EDPS”) ინსტიტუციასთან

საანგარიშო პერიოდში, სამსახურმა გააღრმავა თანამშრომლობა „ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის“ (“EDPS”) ინსტიტუციასთან, ბელგიის სამეფოში ზედამხედველის ოფისში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანამშრომლის გრძელვადიანი მივლინების შესაძლებლობით, რაც წარმოადგენს თანამშრომლობის უპრეცედენტო ფორმატს და გამოხატავს ევროპელი კოლეგების ძლიერ მხარდაჭერას საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს მიმართ. „ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველი“ მონიტორინგს უწევს ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ (“GDPR”) დებულებათა გამოყენებას და მისი მთავარი ფუნქციაა პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე ევროკავშირის ინსტიტუტებსა და ორგანოებზე ზედამხედველობა.

აღსანიშნავია, რომ 2024 წელს, სამსახურის უფროსის აპარატის ხელმძღვანელი „ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის“ ოფისში სამი თვით იქნა მივლინებული. ვიზიტის ფარგლებში იგი გაეცნო მონაცემთა დაცვისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სფეროში ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის საუკეთესო პრაქტიკას. ასევე, მონაწილეობა მიიღო ევროპის მონაცემთა დაცვის

ზედამხედველის 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით დაგეგმილ ღონისძიებებში და უწყების გენერალური მდივნის სხვადასხვა აქტივობებში. თანამშრომლობის აღნიშნული ფორმატი ითვალისწინებდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალი კანონის იმპლემენტაციის პროცესში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მხარდაჭერას, ხელოვნური ინტელექტის შესახებ ევროკავშირის რეგულაციასთან დაკავშირებით კვლევით საქმიანობაში მონაწილეობასა და სხვადასხვა აქტივობის განხორციელებას პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში გამოცდილების გაზიარების მიზნით. აღნიშნული თანამშრომლობის შინაარსის, ასევე, ევროინტეგრაციის გზაზე „ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის“ (“EDPS”) პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისადმი ახალი კანონის იმპლემენტაციის პროცესში მხარდაჭერის თაობაზე, 2023 წლის დეკემბერში, ბრიუსელში სამსახურის უფროსმა ზედამხედველის ინსტიტუციის გენერალურ მდივანთან სამუშაო შეხვდა გამართა. შეხვედრის ფარგლებში განხილულ იქნა „ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის“ ინსტიტუციაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის წარმომადგენლობასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები, ასევე, ევროინტეგრაციის გზაზე აღნიშნული ორგანოს მხარდაჭერა სამსახურისადმი, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალი კანონის იმპლემენტაციის პროცესში.

„ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის“ ოფისთან თანამშრომლობა ასევე აღსანიშნავია იმ თვალსაზრისით, რომ 2024 წლის 1 მარტს, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალი კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტში, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ერთობლივი ღონისძიების ფარგლებში „ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის“ გენერალურ მდივანმა — ლეონარდო სერვერა ნავასმა, სიტყვით მიმართა დამსწრე აუდიტორიას. მან ხაზგასმით აღნიშნა საერთაშორისო დონეზე საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს აქტიურობა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიზანსწრაფვა ევროპული ღირებულებების საქმიანობაში დანერგვის თვალსაზრისით და გაწეული სამუშაოს ხარისხი მონაცემთა დაცვის საერთაშორისო არენაზე.

2. სამსახური — საერთაშორისო ღონისძიებების მასპინძელი უწყება

2.1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოთა ევროპული კონფერენციის“ მასპინძელი უწყება

აღსანიშნავია, რომ 2025 წელს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური „მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების ევროპულ კონფერენციას“ (“European Conference of Data Protection Authorities”) ბათუმში[1], 6-9 მაისს უმასპინძლებს. კონფერენცია პერსონალური მონაცემების დაცვის სფეროში უმაღლესი რანგის საერთაშორისო ფორუმია, რომელიც ყოველწლიურად აკრედიტირებული წევრი საზედამხედველო ორგანოს მასპინძლობით იმართება. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა ინიციატივა ევროპული კონფერენციის მასპინძლობის თაობაზე, „მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების ევროპული კონფერენციის“ მუდმივ სამუშაო ჯგუფს (“Steering Group”) 2023 წელს წარუდგინა.

ევროპული კონფერენცია წარმოადგენს მონაცემთა დაცვის კოლეგა საზედამხედველო ორგანოთა შორის სადისკუსიო პლატფორმას, რომელიც ხელს უწყობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოთა შორის დარგობრივი ტენდენციების და მონაცემთა დაცვის საუკეთესო პრაქტიკის განხილვას. კონფერენციის მიზანია წევრი საზედამხედველო ორგანოებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება და გამოცდილების გაზიარება. ამდენად, უაღრესად მნიშვნელოვანია, 2025 წლის რიგით 33-ე კონფერენციის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ მასპინძლობა იმდენად, რამდენადაც ღონისძიების დახურული და ღია სესიები დაეთმობა მონაცემთა დაცვის სფეროს აქტუალური საკითხების განხილვასა და მათზე მსჯელობას ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით.

2.1.1. სამსახურის მონაწილეობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოთა ევროპული კონფერენციაში“

სამსახური აქტიურად მონაწილეობს „მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების ევროპულ კონფერენციაში“, რომლის პანელური სესიის ფარგლებში სამსახურის უფროსი ყოველწლიურად წარადგენს მოხსენებებს საქართველოს

[1] 2023 წლის 14 სექტემბერიდან ბათუმში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის წარმომადგენლობამ დაიწყო ფუნქციონირება.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს, კონფერენცია ხორვატიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს მასპინძლობით გაიმართა, რომლის ფარგლებშიც სამსახურის უფროსი პანელურ სესიაზე მოხსენებით წარსდგა. მოხსენება საქართველოს მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით განხორციელებულ ცვლილებებს, საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკანონმდებლო რეგულირებასა და მისი აღსრულების მექანიზმებს, ახალ კანონს, საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებას და სამომავლო გეგმებს შეეხო. პანელური სესიის სადისკუსიო სექციაში მომხსენებლებმა იმსჯელეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის ეფექტიანი აღსრულების, ევროკავშირის წევრ და არაწევრ ქვეყნებს შორის ურთიერთდახმარების, ტრანსსასაზღვრო ინციდენტების განხილვისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების საკითხებზე. გამართული მსჯელობის ფარგლებში, დადებითად აღინიშნა საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის კომპეტენციის მრავალფეროვნება. სამსახური აქტიურად იყო ჩართული 2022 წლის კონფერენციაზე მისაღები რეზოლუციების პროექტების მომზადებაში ისევე, როგორც კონფერენციის შუალედური სამუშაო ჯგუფის (“Interim Steering Group (ISG)”) შეხვედრებში. აღსანიშნავია, კონფერენციის სამუშაო ჯგუფის წევრებს სამსახური პერიოდულად წარუდგენდა მოსაზრებას სამუშაო ჯგუფის მიერ განსახორციელებელ სხვადასხვა აქტივობის, კონფერენციის სამომავლო გეგმების, რეგლამენტის ცვლილების, ასევე, 2022 წელს საქართველოში, სამსახურის ეგიდით გამართული „ევროპული საქმისწარმოების ყოველწლიური სამუშაო შეხვედრის“ (“European Case Handling Workshop (ECHW)”) ორგანიზებისა და მისი შედეგების შესახებ. ასევე აღნიშვნას საჭიროებს სამსახურის მონაწილეობა სამუშაო ჯგუფის მიერ კონფერენციის ორგანიზების თაობაზე შემუშავებული სახელმძღვანელოს რედაქტირებისა და საბოლოო სახით მიღების პროცესში.

2023 წელს, რიგით 31-ე ევროპულ კონფერენციაზე, რომელსაც უნგრეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ უმასპინძლა, სამსახურის უფროსმა მოდერაცია გაუწია პერსონალურ მონაცემთა დაცვის თემატიკაზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა (“ECHR”) და მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს (“CJEU”) პრაქტიკის შესახებ კონფერენციის დახურული სესიის პანელს. პანელის ფარგლებში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლოს პრაქტიკაზე მოხსენება წარადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეზიდენტმა — დოქტორ მარკო ბოშნიაკმა.

პანელის მეორე მომხსენებელმა — პროფესორ, დოქტორ ჰილკე ჰიმანსმა, რომელიც ბელგიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს დირექტორთა საბჭოს წევრი და სამართალწარმოების პალატის თავმჯდომარეა, ამასთანავე, არის საერთაშორისო მიგრაციის, დევნილთა და სისხლის სამართლის ექსპერტთა კომიტეტის (Meijers Committee) წევრი და ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტისა და ლუქსემბურგის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, განიხილა მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს უახლესი პრაქტიკა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. პანელზე მოხსენებით ასევე წარსდგა უნგრეთის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს იურიდიული მრჩეველი და იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, ადმინისტრაციული სამართლის ყოფილი მოსამართლე და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ექსპერტი — დოქტორ გერგელი ბარაბასი. მან ევროპის კავშირისა და უნგრეთის სამართლის ურთიერთმიმართებაზე ისაუბრა და განიხილა ეროვნული სასამართლოს უახლესი პრაქტიკა.

ერთ-ერთი პანელი კონფერენციის სამუშაო ჯგუფის წინა მოწვევის საქმიანობის შეჯამებას, 2022 წლის ევროპული საქმისწარმოების სამუშაო შეხვედრის მიმოხილვასა და კონფერენციის მომდევნო მასპინძელი უწყების წარდგენას დაეთმო. 31-ე კონფერენციის დახურული სესიის პანელის ფარგლებში დამსწრე აუდიტორიას სამსახურის მიერ თბილისში გამართული „ევროპული საქმისწარმოების სამუშაო შეხვედრის“ (“ECHR”) შინაარსობრივი ნაწილი და ღონისძიების მონაწილეთა კმაყოფილების კვლევის შედეგები წარედგინა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის განვითარებაში სამსახურის როლის აღსანიშნავად, ღონისძიების მონაწილეები გაეცნენ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ჟურნალის“ მიზანს, მისიას და ჟურნალის ქართული და ინგლისურენოვანი გამოცემებს.

ევროპული კონფერენციის რიგით 32-ე ღონისძიება რიგაში, ლატვიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს ორგანიზებით გაიმართა, რომლის ფარგლებშიც პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსმა, წარადგინა მოხსენება თემაზე: „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მომწესრიგებელი კანონმდებლობის იმპლემენტაციის გამოწვევები პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს დონეზე“. მოხსენება შეეხებოდა საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ახალ საკანონმდებლო მოწესრიგებას, აგრეთვე, სამსახურის საერთაშორისო თანამშრომლობის გამოცდილებასა და არსებულ ტენდენციებს.

2.2.2. სამსახურის მიერ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოთა ევროპული კონფერენციის“ სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ 2023 წელს, უნგრეთში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოთა 31-ე ევროპული კონფერენციის ფარგლებში შეირჩა „მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების ევროპული კონფერენციის“ მუდმივი სამუშაო ჯგუფის (“Steering Group”) ახალი შემადგენლობა.

ევროპული კონფერენციის რეგლამენტის შესაბამისად, სამუშაო ჯგუფის ჩვეულებრივ წევრთა შერჩევის მიზნით გამოცხადებული არჩევნების შედეგების გათვალისწინებით, 2023 წლიდან სამუშაო ჯგუფის ახალ შემადგენლობას წარმოადგენენ: პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, ბულგარეთის, გაერთიანებული სამეფოსა და კვიპროსის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოები. აღსანიშნავია, რომ კონფერენციის მუდმივი სამუშაო ჯგუფის კოორდინაციაზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ გამოხატული ინიციატივისა და სამუშაო ჯგუფის სამომავლო საქმიანობის განვითარების შესახებ წარდგენილი ხედვის გათვალისწინებით, ახლად დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფის წევრთა კონსენსუსის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებით, სამუშაო ჯგუფის კოორდინატორის როლს 2023 წლიდან საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური ასრულებს. საგულისხმოა, რომ სამუშაო ჯგუფის წინა შემადგენლობას კოორდინაციას გაერთიანებული სამეფოს საზედამხედველო ორგანო (“ICO”) უწევდა. შესაბამისად, 2024 წლის ღონისძიების დახურული სესიის ფარგლებში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა შეაჯამა ევროპული კონფერენციის სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელებული აქტივობები და საქმიანობის სამომავლო პრიორიტეტული მიმართულებები.

სამუშაო ჯგუფის მიზნებია: კონფერენციის მასპინძელი მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს მხარდაჭერა სტრატეგიული და პრაქტიკული რჩევებით; კონფერენციის წევრთა მიერ მისაღები რეზოლუციების პროექტების მომზადება და მიღებული რეზოლუციების იმპლემენტაციის კოორდინაცია; კონფერენციის წევრობისა და დამკვირვებლის სტატუსის მინიჭების მიზნით წარდგენილი განაცხადების განმხილველი აკრედიტაციის კომიტეტის მხარდაჭერა და კომპლექსურ საკითხებზე კონსულტაციების გაცემა.

2.2. „ტექნოლოგიის მიმართულებით მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სამუშაო ჯგუფის“ რიგით 75-ე შეხვედრის მასპინძელი უწყება

„ტელეკომუნიკაციების სფეროში მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სამუშაო ჯგუფი“ (ე. წ. „ბერლინის სამუშაო ჯგუფი“ (“IWGDPT”)) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პლატფორმაა, რომელიც შეიქმნა ტელეკომუნიკაციებისა და ინტერნეტ სფეროში პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხების განხილვის მიზნით. პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების გარდა, იგი აერთიანებს სხვადასხვა ქვეყნის საჯარო უწყებების, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს და ექსპერტებს მსოფლიოს მასშტაბით. სამუშაო ჯგუფის შეხვედრები იმართება წლის განმავლობაში ორჯერ, მისი წევრი უწყების ან ორგანიზაციის მასპინძლობით.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური აქტიურად არის ჩართული სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში და შეხვედრებში. 2023 წელს სამსახურმა მონაწილეობა სამუშაო ჯგუფის რიგით 71-ე შეხვედრაში, რომელსაც იტალიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ (“Garante Per La Protezione Dei Dati Personali”) უმასპინძლა. სამსახურის უფროსმა სამუშაო ჯგუფის წევრებს გააცნო საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის დარგში მიმდინარე მნიშვნელოვანი სიახლეები, საკანონმდებლო ცვლილებები და საერთაშორისო მასშტაბით სამსახურის მიერ განხორციელებული აქტივობები. სამუშაო ჯგუფის 73-ე შეხვედრაზე, რომელიც ნორვეგიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს მასპინძლობით შედგა, საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანო წარადგინეს სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ და სამსახურის უფროსის აპარატის ხელმძღვანელმა, ხოლო 74-ე ღონისძიებაზე, რომელსაც „ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის“ ოფისმა უმასპინძლა — სამსახურის კერძო სექტორზე ზედამხედველობის დეპარტამენტისა და საერთაშორისო ურთიერთობების, ანალიტიკისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის თანამშრომლებმა. ღონისძიების მონაწილეებს წარედგინა სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ ანგარიში და ინფორმაცია პრეცედენტული გადაწყვეტილებების შესახებ.

მნიშვნელოვანია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ინიციატივითა და სამუშაო ჯგუფის სამდივნოს გადაწყვეტილებით, 2025 წლის ივნისში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური „ბერლინის სამუშაო ჯგუფის“ რიგით 75-ე შეხვედრას უმასპინძლებს, რომელზეც მონაწილეები პერსონალურ მონაცემთა და პირადი

ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის არსებულ გამოწვევებსა და ტენდენციებს განიხილავენ.

3. ურთიერთთანამშრომლობა ევროკავშირისა და სხვა პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებთან

3.1. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები პერსონალურ მონაცემთა დაცვის კოლეგა საზედამხედველო ორგანოებთან

საანგარიშო პერიოდში სამსახურმა თანამშრომლობა გააღრმავა საზღვარგარეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმების გზით.

3.1.1. თანამშრომლობა ხორვატიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სააგენტოსთან

2022 წლის მაისში, ხორვატიაში, დუბროვნიკში გამართული ევროპული კონფერენციის პარალელურად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსმა და ხორვატიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სააგენტოს (“Agencija za zaštitu osobnih podataka”) დირექტორმა, ხელი მოაწერეს უწყებებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს. თანამშრომლობა ითვალისწინებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში სხვადასხვა აქტივობისა და ღონისძიების ერთობლივ გამართვას, მათ შორის, სამუშაო შეხვედრებისა და კონფერენციების ორგანიზებას. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ეროვნული კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მიზნით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხორვატიის, როგორც ბოლო ქვეყნის, რომელმაც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს სტატუსი მოიპოვა, მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გამოცდილების გაზიარება.

3.1.2. თანამშრომლობა იტალიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოსთან

2022 წლის ოქტომბერში, იტალიაში, რომში, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა იტალიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს (“Garante per la protezione dei dati personali”) და საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს შორის. თანამშრომლობა მიზნად ისახავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებაზე ორიენტირებული კონფერენციების, სემინარების ორგანიზებას, მათ შორის, დარგის ექსპერტების გაცვლას. მემორანდუმის გაფორმების ცერემონიას

იტალიისა და საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების წარმომადგენლებს შორის სამუშაო შეხვედრა მოჰყვა, რომელიც უწყებათა ინსტიტუციური განვითარების სამომავლო გეგმებს და თანამშრომლობის შესაძლებლობებს დაეთმო.

3.1.3. თანამშრომლობა სან მარინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოსთან

2024 წლის ივლისში, სან მარინოში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურსა და სან მარინოს რესპუბლიკის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს (“Autorità Garante per la Protezione dei Dati Personali”) შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. თანამშრომლობა მიზნად ისახავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებაზე ორიენტირებული ღონისძიებების, კონფერენციების, სემინარების, სასწავლო ვიზიტების ორგანიზებას, აგრეთვე, ინფორმაციის გაზიარებას ეროვნული კანონმდებლობისა და ევროპული სტანდარტების იმპლემენტაციის შესახებ და ორმხრივი პროფესიული განვითარების მიზნით, ექსპერტების გაცვლას.

ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერის ცერემონიაზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსმა ისაუბრა საზედამხედველო ორგანოებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მნიშვნელობაზე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საერთაშორისო დარგობრივ პლატფორმებსა და ქსელებში მონაწილეობის თაობაზე. ცერემონიის გახსნით ნაწილში, დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართეს სან მარინოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრმა, აგრეთვე, საგარეო საქმეთა საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობისა და ტელეკომუნიკაციის სამინისტროს ევროპულ საქმეთა დირექტორიატის ხელმძღვანელმა, რომელთაც ხაზგასმით აღნიშნეს ევროინტეგრაციის პროცესში საქართველოს გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობა სან მარინოს რესპუბლიკისათვის, როგორც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების დადების პროცესში მყოფი სახელმწიფოსთვის. სან მარინოს რესპუბლიკის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს პრეზიდენტმა განსაკუთრებით აღნიშნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან თანამშრომლობის მნიშვნელობა და მზაობა გამოთქვა საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით, ერთობლივი აქტივობების განხორციელების თაობაზე. სან მარინოს რესპუბლიკის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს

ვიცე პრეზიდენტმა, ასევე, ხაზგასმით აღნიშნა სან მარინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს არსებობის ისტორიაში პირველი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება და საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან თანამშრომლობის მნიშვნელობა საუკეთესო გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით. მან, ასევე, ისაუბრა სან მარინოს საზედამხედველო ორგანოს საერთაშორისო პლატფორმებში მონაწილეობისა და სამომავლოდ საერთაშორისო ურთიერთობების გაფართოების თაობაზე.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ხელმოწერის ცერემონიის შემდგომ გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომელიც დაეთმო პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოთა მანდატისა და მათი საქმიანობის ძირითადი მიმართულების განხილვას.

3.1.4. საერთაშორისო თანამშრომლობის სამომავლო ხედვა

თანამედროვე ტექნოლოგიური პროგრესი სწრაფად ცვლის სოციალურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ რეალობას. ციფრული განვითარების ეპოქა გვთავაზობს არაერთ ინოვაციურ შესაძლებლობას, თუმცა ამავდროულად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის თვალსაზრისით, წარმოშობს ახალ სირთულეებსა და რისკებს. მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებს შორის თანამშრომლობა წარმოადგენს აღნიშნული სირთულეების დაძლევის სტრატეგიულ მიდგომას. საზედამხედველო ორგანოებს შორის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში ურთიერთთანამშრომლობა მიზნად ისახავს ერთგვაროვანი სტანდარტების დანერგვას, რესურსების ეფექტიან გამოყენებას და მონაცემთა სუბიექტის უფლებების უკეთ დაცვას. ევროპის კოლეგა საზედამხედველო ორგანოებთან თანამშრომლობის ფორმატის შექმნის მიზნით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური აწარმოებს მოლაპარაკებებსა და მართავს სამუშაო შეხვედრებს, რომლის ფარგლებში პარტნიორ უწყებებს წარედგინებათ სამსახურის ხედვა და სტრატეგიული მიდგომა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის თანამედროვე სტანდარტების მხარდაჭერის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს, თბილისში, „ევროპული საქმისწარმოების სამუშაო შეხვედრის“ (“European Case Handling Workshop” (“ECHW”)) პარალელურად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსმა პირისპირ შეხვედრები გამართა ბოსნია-ჰერცოგოვინას პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო

ორგანოს ხელმძღვანელთან, ასევე, ხორვატიის კოლეგა უწყების ხელმძღვანელის პირველ მოადგილესთან. შეხვედრებზე საუბარი პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო უწყებებს შორის კოორდინირებული მუშაობის მნიშვნელობას შეეხო. საგულისხმოა, რომ საანგარიშო პერიოდში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა მჭიდრო თანამშრომლობა ჩამოაყალიბა გიბრალტარისა და შვეიცარიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებთან.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური აქტიურად განაგრძობს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში თანამშრომლობის განვითარების პრაქტიკას და მომდევნო წლებშიც გეგმავს კოლეგა მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებთან ამგვარი ფორმატით საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას. საგულისხმოა, რომ 2024 წელს, თბილისში, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების 22-ე კონფერენციის (“CEEDPA”) პარალელურად, პერსონალურ სამსახურის უფროსმა სამუშაო შეხვედრა გამართა ავსტრიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ორგანოს კომისართან და პოლონეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს ხელმძღვანელთან, რომლებმაც სამსახურთან ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების სურვილი გამოთქვეს.

სამსახური, ასევე, გეგმავს ბრაზილიისა და თურქეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებთან თანამშრომლობის გაღრმავებას მემორანდუმის გაფორმების გზით.

3.2. გაცნობითი ხასიათის შეხვედრები და ერთობლივი ღონისძიებები

საანგარიშო პერიოდში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა არაერთი სამუშაო შეხვედრა გამართა საქმიანობის ძირითადი მიმართულებების, ფუნქციების, სტრატეგიული განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.

2022 წელს, თურქეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს მასპინძლობით გამართული „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გლობალური ასამბლეის“ (“GPA”) პარალელურად, კონფერენციის დახურული სესიის სამუშაო შეხვედრის ფორმატში, სამსახურის უფროსი შეხვდა მექსიკის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს ხელმძღვანელებს. მან, ასევე, გამართა სამუშაო შეხვედრა

თურქეთის, ესპანეთის, ურუგვაის, დიდი ბრიტანეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს ხელმძღვანელებთან და წარმომადგენლებთან. შეხვედრების ფარგლებში განხილულ იქნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურსა და საზღვარგარეთის კოლეგა საზედამხედველო ორგანოებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობები და აქტივობები „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გლობალური ასამბლეის“ სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების განხორციელების ხელშეწყობისთვის.

2022 წლის ნოემბერში, სამსახურს ვიზიტით ყაზახეთის კერძო სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დელეგაცია ესტუმრა. შეხვედრის ფარგლებში ინსტიტუტის დირექტორი და სხვა მკვლევრები სამსახურის მანდატს, საქმიანობას, ფუნქციებსა და სამართლებრივ მოწყობას გაეცნენ. აღსანიშნავია, რომ ქართული მხარის მიერ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში გამოცდილების გაზიარების მიზნით, სამომავლოდ ერთობლივი სამეცნიერო პროექტების განხორციელებაც იგეგმება.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის“ ახალი კანონის იმპლემენტაციის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში საერთაშორისო დონეზე აღიარებული საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით, 2023 წელს, სამსახურმა გერმანიის სოციალურ საკითხთა ფედერალური სასამართლოს ყოფილ მოსამართლეს, სამსახურის ორენოვანი პერიოდული სამეცნიერო გამოცემის — „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ჟურნალის“, სარედაქციო კოლეგიის წევრსა და მარბურგის ფილიპეს სახელობის უნივერსიტეტის პროფესორს, ნორბერტ ბერნსდორფს, უმასპინძლა. ღონისძიებას პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანამშრომლები და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური წრის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. საგულისხმოა, რომ მოხსენების ფარგლებში პროფესორმა ბერნსდორფმა პოზიტიურად აღნიშნა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალი კანონის მიღება და მისი შესაბამისობა ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითად რეგულაციასთან“, აგრეთვე, მონაცემთა დაცვის სამართლის სფეროში საერთაშორისო დონეზე აღიარებულ სტანდარტებთან. მან მზადყოფნა გამოთქვა ახალი კანონის იმპლემენტაციის პროცესის სამეცნიერო-საექსპერტო მხარდაჭერის მიზნით სამსახურთან თანამშრომლობაზე. ამასთანავე, საკანონმდებლო ნოვაციების შესახებ სამსახურის მიერ უზრუნველყოფილ სამეცნიერო-სადისკუსიო პლატფორმებში მონაწილეობის თაობაზე.

აგრეთვე, 2023 წელს, ხორვატიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოსთან (“Agencija za zaštitu osobnih podataka”) არსებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, სამსახურის თანამშრომლებმა, გერმანიისა და ჩრდილოეთ მაკედონიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების წარმომადგენლებთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს ხორვატიის საზედამხედველო ორგანოს მიერ ორგანიზებულ ონლაინ სამუშაო შეხვედრებში თემებზე: „ინსპექტირების წარმოება მონაცემთა დაცვის სტანდარტული მოდელის გამოყენებით“ და „მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასება“. სამუშაო შეხვედრები დაეთმო მონაწილე ქვეყნების საზედამხედველო ორგანოებს შორის გამოცდილების გაზიარებას, რომელიც დისკუსიისა და კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. აღსანიშნავია, რომ ხორვატიის კოლეგა უწყების წარმომადგენლებთან ონლაინ ფორმატში შეხვედრა მიმდინარე წელსაც შედგა. კერძოდ, სამსახურის თანამშრომლებმა ხორვატიის რესპუბლიკის საზედამხედველო ორგანოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთან გამართეს სამუშაო შეხვედრა თემაზე: „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრები პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოში — საუკეთესო პრაქტიკა და გამოცდილების გაზიარება“. ინტერაქტიულ რეჟიმში წარმართული შეხვედრის ფარგლებში, მონაწილეებმა მიმოიხილეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნის ვალდებულებასთან და მის ფუნქცია-მოვალეობებთან დაკავშირებით ევროკავშირში და საქართველოში მოქმედი რეგულაციები, რის შემდეგაც ხორვატიის კოლეგა უწყების ოფიცერმა სამსახურის თანამშრომლებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის საქმიანობის პრაქტიკული ასპექტების შესახებ საკუთარი გამოცდილება გაუზიარა.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს, სამსახურს ვიზიტით ყაზახეთის სამართალდამცავი ორგანოებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლები ესტუმრნენ. გაცნობითი შეხვედრის ფარგლებში სამსახურის წარმომადგენლებმა სტუმრებს სამსახურის მანდატის, ფუნქციებისა და საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ ინფორმაცია გაუზიარეს.

2024 წელს, გაცნობითი ხასიათის ონლაინ შეხვედრა გაიმართა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისა და ბრაზილიის ეროვნული პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს თანამშრომლებს შორის. შეხვედრის ფარგლებში შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს საზედამხედველო ორგანოების კომპეტენციები და მანდატი, ეროვნული კანონმდებლობა, საერთაშორისო თანამშრომლობა და დარგობრივი ტენდენციები. ხაზი გაესვა ხელოვნური ინტელექტის გავლენას

პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე, აგრეთვე, სხვადასხვა სექტორში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მონაცემთა დამუშავების აქტუალობას. მხარეებმა ისაუბრეს ერთობლივი აქტივობების დაგეგმვის თაობაზე და საქართველოსა და ბრაზილიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების საკითხზე.

მიმდინარე წელს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანამშრომლები, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციაში, ბოსნია და ჰერცეგოვინას დელეგაციას შეხვდნენ. სამსახურის საჯარო სექტორზე ზედამხედველობის დეპარტამენტისა და იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენლებმა დელეგაციის წევრებს, მათ შორის, ბოსნია და ჰერცოგოვინას პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს თანამშრომლებს სამსახურის მანდატი გააცნეს. ასევე, შეხვედრაზე განხილულ იქნა საკანონმდებლო ცვლილებები და მონაცემთა კანონიერების დამუშავების სხვადასხვა სამართლებრივი საკითხი. აღსანიშნავია, რომ ბოსნია და ჰერცეგოვინას დელეგაციის სასწავლო ვიზიტი საქართველოში ეუთოს ეგიდით განხორციელდა. ვიზიტის ფარგლებში დელეგაციის წევრები საარჩევნო ადმინისტრაციის, საარჩევნო სისტემების, რეფორმების და სწავლების ცენტრის, ასევე, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს წარმომადგენლებს შეხვდნენ.

მიმდინარე წლის დეკემბერში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისა და თურქეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომლის ფარგლებშიც სამსახურის უფროსმა ისაუბრა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მანდატზე, საქმიანობის ძირითად მიმართულებებზე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ახალი კანონით გათვალისწინებულ ინსტიტუტებზე, საერთაშორისო ურთიერთობებსა და სამსახურის ინსტიტუციური განვითარების სამომავლო გეგმაზე. თავის მხრივ, თურქეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს უფროსმა ისაუბრა უწყების მანდატისა და საქმიანობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების, ერთობლივი ღონისძიებების გამართვისა და უწყებათაშორისი სამუშაო პლატფორმის შექმნის მიზნით, მხარეები უახლოეს მომავალში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებაზე შეთანხმდნენ.

4. სამსახურის წარმომადგენლობა დარგობრივ საერთაშორისო ფორუმებში

პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დარგობრივი სადისკუსიო პლატფორმის შექმნის თვალსაზრისით. აღნიშნული ემსახურება საზედამხედველო ორგანოებს შორის ეფექტიან თანამშრომლობას და მათი გამოცდილების გაზიარებას. თანამშრომლობის ამგვარი ფორმატი მიზნად ისახავს დარგობრივ გამოწვევათა შედარებითსამართლებრივ განხილვას, ხოლო მათ საპასუხოდ ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბებას.

4.1. სამსახურის მიერ გამართული საერთაშორისო ღონისძიებები

- *„ევროპული საქმისწარმოების სამუშაო შეხვედრა“*

2022 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა, როგორც საზღვარგარეთის კოლეგა მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების აქტიურმა პარტნიორმა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თანამედროვე პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის აქტუალური თემატიკის განსახილველად სადისკუსიო პლატფორმების მხარდაჭერის თვალსაზრისით. კერძოდ, აღსანიშნავია, რომ საქართველოს მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს ისტორიაში პირველად, 2022 წლის „ევროპული საქმისწარმოების სამუშაო შეხვედრას“ (“European Case Handling Workshop” (“ECHW”)) პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა უმასპინძლა. „ევროპული საქმისწარმოების სამუშაო შეხვედრა“ არის ყოველწლიური საერთაშორისო ფორუმი, რომლის მიზანია სხვადასხვა ქვეყნის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების მონაწილეობით პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება.

სამუშაო შეხვედრა 1999 წლიდან იმართება და ჰელსინკის საგაზაფხულო კონფერენციიდან იღებს სათავეს, სადაც ევროპის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოები შეთანხმდნენ მონაცემთა დაცვის სფეროში მომუშავე პრაქტიკოსთა მონაწილეობით სამუშაო შეხვედრის ჩატარებაზე. აღნიშნული მიზნად ისახავდა საჩივრების განხილვის პროცედურების შედარებასა და ტრანსსასაზღვრო საჩივრების განხილვის ხელშეწყობას. სამუშაო შეხვედრა წარმოადგენს „მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების ევროპული კონფერენციის“ (ე. წ. „საგაზაფხულო კონფერენცია“) ერთგვარ გაგრძელებას, თუმცა განსხვავებული

ფორმატით, კერძოდ, სამუშაო ფორუმის სახით. იგი აყალიბებს სადისკუსიო პლატფორმას შესაბამისი პრაქტიკული საკითხების განხილვისა და საზედამხედველო ორგანოთა მიერ საქმისწარმოების პროცესში არსებული გამოწვევების ანალიზის, ასევე, მათი გადაჭრის გზების შესახებ მსჯელობის მიზნით. ყოველწლიურად სამუშაო შეხვედრის ფარგლებში განიხილება მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის აღსრულების სხვადასხვა საკითხები, აგრეთვე, მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებისათვის საქმისწარმოების საერთაშორისო სტანდარტები. ამდენად, სამუშაო შეხვედრის მიზანია მონაცემთა დაცვის სფეროში მომუშავე პრაქტიკოსებისთვის გამოცდილების გაზიარება ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორიცაა: მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით მიღებული საჩივრები და იდენტიფიცირება; ძირითადი გამოწვევები, რომელთაც მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოები მუშაობის პროცესში აწყდებიან; სექტორები, რომლებთან დაკავშირებით მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოები იღებენ საჩივრების უმრავლესობას ან არსებობს ალბათობა, რომ მომავალში მიიღებენ საჩივრებს.

2022 წლის ღონისძიება ოფიციალურად გახსნა და მონაწილეებს სიტყვით მიმართა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსმა. მისასალმებელი სიტყვით მონაწილეებს ასევე მიმართა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ. სამუშაო შეხვედრა შეეხო პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სფეროში ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორიცაა: მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების მიერ ინსპექტირების ჩატარების ეტაპები; მონაცემთა დაცვა სოციალურ მედიაში და გამონაკლისები ეროვნულ კანონმდებლობაში; მონაცემთა საერთაშორისო გადაცემა; პერსონალური მონაცემები და ხელოვნური ინტელექტი და სხვა.

სამუშაო შეხვედრამ ჯამში ექვსი პანელური სექცია გააერთიანა. სამუშაო შეხვედრის დასასრულს, მონაწილეებს 2023 წლის სამუშაო შეხვედრის კონცეფცია გააცნო ღონისძიების შემდეგი მასპინძელი ქვეყნის, კერძოდ, შვეიცარიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს წარმომადგენელმა.

აღსანიშნავია, რომ სამუშაო შეხვედრას ოცდაექვსი ქვეყნის კოლეგა მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოთა ორმოცდაათზე მეტი დელეგატი დაესწრო. ღონისძიების მონაწილეებს საკუთარი გამოცდილება თექვსმეტი ქვეყნის ოცდაშვიდმა მომხსენებელმა გაუზიარა, მათ შორის: ავსტრიის, ალბანეთის, გიბრალტარის, დანიის, იტალიის, საფრანგეთის, ხორვატიის, შვეიცარიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის

საზედამხედველო ორგანოების წარმომადგენლებმა. სამუშაო შეხვედრაზე მოხსენებით „ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველისა“ (“European Data Protection Supervisor” (EDPS)) და „წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის“ (“International Committee of the Red Cross” (ICRC)) წარმომადგენლებიც წარსდგნენ. სამუშაო ფორმატის გარდა, შეხვედრის მონაწილეებისათვის საქართველოს ისტორიისა და კულტურის გასაცნობად სხვადასხვა სოციალური აქტივობაც იყო გათვალისწინებული. აღსანიშნავია, რომ ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დელეგაციის ხელმძღვანელი, აგრეთვე, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენელი.

- *საერთაშორისო პრაქტიკულ-სამეცნიერო კონფერენცია: „პერსონალურ მონაცემთა დაცვა ციფრულ სამყაროში“*

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის თანამედროვე სტანდარტების შესწავლის მიზნით, სამსახური აქტიურად თანამშრომლობს აკადემიური კორპუსისა და კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტების წარმომადგენლებთან. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია, 2022 წლის დეკემბერში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ორგანიზებით გამართული საერთაშორისო პრაქტიკულ-სამეცნიერო კონფერენცია ციფრულ სამყაროში მონაცემთა დაცვის შესახებ. პირველი სესია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის მისასალმებელი სიტყვით გაიხსნა. ღონისძიების მონაწილეებს სიტყვით მიმართეს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ, ასევე, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში. ღონისძიების პირველი სესიის ფარგლებში მომხსენებლებმა ისაუბრეს ტექნოლოგიური განვითარებასა და მის სამართლებრივ საკითხებზე პერსონალური მონაცემების დაცვის ჭრილში. სამართლის ინოვაციური ტექნოლოგიების შესახებ მოხსენებით ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა, “Knowledge Tools International GmbH”-ს სამართლის ინჟინერმა მიმართა. შეხვედრის დასკვნით ნაწილში კი პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის წინაშე არსებული ციფრული ტექნოლოგიების გამოწვევები, მოქმედი კანონმდებლობის ანალიზი და სამართლებრივი შეფასება სამსახურის თანამშრომლებმა წარადგინეს. ღონისძიებას ორმოცდაათზე მეტი მონაწილე ესწრებოდა, მათ შორის მოსამართლეები, საჯარო, აკადემიური და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

- *საერთაშორისო, სამეცნიერო კონფერენცია სახელწოდებით: „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობა და მისი სამართლებრივი ასპექტები საქართველოში“*

დარგობრივი ტენდენციების შედარებითსამართლებრივი განხილვისა და სადისკუსიო პლატფორმის მხარდაჭერის მიზნით, 2023 წლის პირველ მარტს, სამსახურმა გამართა საერთაშორისო, სამეცნიერო კონფერენცია: „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობა და მისი სამართლებრივი ასპექტები საქართველოში“. კონფერენცია ოთხ პანელურ სესიად ჩატარდა, რომლის ფარგლებში ღონისძიების მონაწილეებს სამსახურის, ასევე, სასამართლო კორპუსის, აკადემიური სფეროსა და საექსპერტო წრეების წარმომადგენლებმა მოხსენებები წარადგინეს, მათ შორის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის სამართლებრივი სტატუსის, არასრულწლოვანთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხების, კორპორაციული მართვისა და სასამართლო პრაქტიკის შესახებ. საპატიო სტუმრის სტატუსით, კონფერენციაში დისტანციურად მონაწილეობა მიიღო და მოხსენებით წარსდგა „ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის“ (“EDPS”) ინსტიტუციის გენერალური მდივანი — ლეონარდო სერვერა ნავასი.

- *„ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების 22-ე კონფერენცია“*

2024 წლის 28 თებერვლიდან პირველი მარტის ჩათვლით, სამსახურმა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური „ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების“ (“CEEDPA”) 22-ე კონფერენციას თბილისში უმასპინძლა. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს „ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების“, აგრეთვე, კონფერენციის არაწევრი, ევროპის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების ხელმძღვანელმა პირებმა და თანამშრომლებმა, ასევე, ევროპის კავშირის სხვადასხვა ინსტიტუციის — „მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს“ (“EDPB”), ,,ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის” (“EDPS”), “EUROPOL”-ისა და “EUROJUST”-ის წარმომადგენლებმა. ღონისძიება მიზნად ისახავდა მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვასა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას.

აღსანიშნავია, რომ „ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების“ პირველი შეხვედრა ვარშავაში, 2001 წლის 17 დეკემბერს გაიმართა. მას შემდეგ, წევრი საზედამხედველო ორგანოები

ყოველწლიურად იკრიბებიან თანამშრომლობის გასაძლიერებლად და პერსონალური მონაცემთა დაცვის ერთობლივი, საზიარო პრინციპების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით. საგულისხმოა, რომ ღონისძიების გამართვის თაობაზე შეთავაზება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა 2023 წელს, „ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების“ კონფერენციის სამდივნოსგან — პოლონეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოსგან მიიღო.

29 თებერვალს, კონფერენციის პირველი სამუშაო დღე პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსმა გახსნა. მისასალმებელ სიტყვაში მან ყურადღება გაამახვილა საერთო ევროპული ღირებულებების დაცვის მნიშვნელობასა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალ კანონზე, რომელიც ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითად რეგულაციას“ არსებითად შეესაბამება. კონფერენციის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ, „მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს“ (“EDPB”) თავმჯდომარის მოადგილემ — ირინე ლოიზიდუ ნიკოლაიდუმ, ,,ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის” (“EDPS”) გენერალურმა მდივანმა — ლეონარდო სერვერა ნავასმა, „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის საკონსულტაციო კომიტეტის მდივანმა — პიტერ კიმპიანმა და პოლონეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს ხელმძღვანელმა — მიროსლავ ვრობლევსკიმ.

კონფერენციის პირველ სამუშაო დღეს მომხსენებლებმა განიხილეს: შესაბამისობა და რეგულაციური გამოწვევები: “GDPR”-ისა და სხვა რეგიონალური კანონების სირთულეების ნავიგაცია; ცენტრალური აღმოსავლეთ ევროპის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების საუკეთესო პრაქტიკა; მონაცემთა დაცვის ორგანოს ეფექტურობა; პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრების როლი; მონაცემთა დარღვევის შესახებ შეტყობინება და მასთან დაკავშირებული საკითხები; მონაცემთა მეტად დაფარვის პრიორიტეტი (“Privacy by Design/by Default”), განვითარებადი ტექნოლოგიები და მათი გავლენა მონაცემთა სუბიექტებზე; პერსონალურ მონაცემთა დაცვა სამართალდამცავ ორგანოებში.

კონფერენციის შემაჯამებელ დღეს კი მომხსენებლებმა განიხილეს მონაცემთა საერთაშორისო გადაცემასთან დაკავშირებული გამოწვევები, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მომავალი ტენდენციები: პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით მომავალი ნაბიჯები.

4.2. სამსახურის მონაწილეობა დარგობრივ საერთაშორისო ფორუმებში

საანგარიშო პერიოდში სამსახურმა მონაწილეობა მიიღო პერსონალურ მონაცემთა დაცვის, აგრეთვე, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სფეროში მოქმედ არაერთ საერთაშორისო ფორუმში. სამსახურმა გააღრმავა, ასევე, მოიპოვა სხვადასხვა დარგობრივი საერთაშორისო პლატფორმის წევრისა და დამკვირვებლის სტატუსი, რაც ემსახურება მისი ინსტიტუციური ცნობადობის ზრდას და არსებული საერთაშორისო პარტნიორული ურთიერთობების გაფართოებას.

4.2.1. საერთაშორისო დარგობრივ პლატფორმებში გაწევრიანება

2022 წელს სამსახურმა მოიპოვა „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გლობალური ასამბლეის“ (“GPA”) „მონაცემთა დაცვის შეფასების სამუშაო ჯგუფის“ (“Working Group on Data Protection Metrics”) თავმჯდომარის სტატუსი. სამუშაო ჯგუფი 2016 წელს, მონაცემთა დაცვის რეგულირების „ახალი საზომის“ შემუშავების შესახებ რეზოლუციის მიღების შემდეგ დაფუძნდა. მისი მიზანია მონაცემთა დაცვისა და პირადი ცხოვრების დაცულობის საერთაშორისოდ შესადარებელი სტატისტიკური მონაცემის შემუშავება და ამ მიზნით მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოთა გამოცდილების შესწავლა. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ სამსახურის თანამშრომლები საზედამხედველო ორგანოს წარადგენენ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ასამბლეის სხვა სამუშაო ჯგუფებშიც: „დიგიტალური მოქალაქის და მომხმარებლისა და ეთიკის სამუშაო ჯგუფი“ (“Digital Citizen and Consumer and Ethics”), „მონაცემთა დაცვა ხელოვნურ ინტელექტში“ (“Data Protection in Artificial Intelligence”), „მონაცემთა დაცვა და სხვა უფლებებისა და თავისუფლებების სამუშაო ჯგუფი“ (“Data Protection and Other Rights and Freedoms Working Group“) და სხვა.

აგრეთვე 2022 წელს სამსახურმა „საინფორმაციო კომისრების საერთაშორისო კონფერენციის“ (“International Conference of Information Commissioners”) დამკვირვებლის სტატუსი მოიპოვა. საჯარო კონფერენცია არის გლობალური ფორუმი, რომელიც კონფერენციის წევრის სტატუსით აერთიანებს ინფორმაციის თავისუფლებასა და ხელმისაწვდომობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელ უწყებებს, ხოლო სფეროთი დაინტერესებულ, მომიჯნავე უწყებებს ანიჭებს კონფერენციის დამკვირვებლის სტატუსს. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულების, მონაცემთა დაცვის სფეროში მისი ხედვისა და მისიის, საერთაშორისო აქტივობების შეფასების საფუძველზე,

კონფერენციის აღმასრულებელმა საბჭომ 2022 წლის დეკემბერში წარმატებით დაასრულა სამსახურისთვის დამკვირვებლის სტატუსის მინიჭების პროცესი. აღსანიშნავია, რომ ევროპის მასშტაბით კონფერენციის წევრის სტატუსი აქვს ოცდახუთამდე ქვეყნის საზედამხედველო ორგანოს, მათ შორის: ბელგიის, გერმანიის, გაერთიანებული სამეფოს, ესპანეთის, ირლანდიის, კატალონიის, შვეიცარიის, ხორვატიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებს.

სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების თვალსაზრისით 2022 წელი ასევე, აღსანიშნავი იყო სამსახურის ევროპის საბჭოს ხელოვნური ინტელექტის ექსპერტთა კომიტეტში (“Committee on Artificial Intelligence” (“CAI”)) გაწევრიანებით. კომიტეტის საქმიანობის ფარგლებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით პერსონალურ მონაცემთა დამუშავება, რომლის თაობაზე სამსახური წარადგენს ექსპერტულ მოსაზრებასა და შესაბამის რეკომენდაციებს.

2023 წელს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ორგანოთა ფრანკოფონიის ასოციაციის“ ასამბლეის წევრის სტატუსი მოიპოვა. საგულისხმოა, რომ ასოციაციაში სამსახურის გაწევრიანების საკითხს, ასოციაციის ასამბლეის მონაწილე ცხრამეტივე წევრმა მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ დაუჭირა მხარი. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ორგანოთა ფრანკოფონიის ასოციაცია“ 2007 წელს ფრანგულენოვანი პერსონალური მონაცემების დაცვის ორგანოებისა და ფრანკოფონიის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლების მხარდაჭერით შეიქმნა. მის მთავარ მიზანს კი ასოციაციის წევრთა საქმიანობის ეფექტიანობის გაძლიერება, მონაცემთა დაცვის სფეროში ფრანგულენოვანი საექსპერტო პლატფორმის ჩამოყალიბება და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება, ასოციაციის წევრთა ინფორმირება მათ საქმიანობის შესახებ, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა წარმოადგენს.

ასევე 2023 წელს სამსახური „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გლობალური ასამბლეის“ (“GPA”) კიდევ ერთ სამუშაო ჯგუფში — „პერსონალურ მონაცემთა დაცვის როლი საერთაშორისო განვითარების დახმარების, საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარებისა და კრიზისების მართვა“ გაწევრიანდა. მნიშვნელოვანია, რომ სამუშაო ჯგუფი ორიენტირებულია ასამბლეის სტრატეგიული ამოცანების შესრულებაზე, განსაკუთრებით კი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის, ასევე, იმ საერთაშორისო ორგანოებსა თუ ქსელებთან ურთიერთობების გაღრმავებაზე, რომლებიც აღნიშნულ საკითხებს პრიორიტეტულად მიიჩნევენ. სამუშაო ჯგუფმა აგრეთვე შეიმუშავა საერთაშორისო

განვითარებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების გეგმა, განსაზღვრა მხარდაჭერის მიმღები ქვეყნების სია, რომელთა კანონმდებლობა არ ითვალისწინებს პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ სათანადო გარანტიებს და შედგენილი კითხვარის მეშვეობით აწარმოა შესაბამისი აქტორების გამოკითხვა. სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს შვეიცარიის მონაცემთა დაცვისა და ინფორმაციის ფედერალური კომისარი; აგრეთვე, მისი თანათავმჯდომარეა მონაკოს პერსონალურ ინფორმაციათა საზედამხედველო კომისია. ჯგუფში გაერთიანებულია მონაცემთა დაცვის ოცდაოთხი საზედამხედველო ორგანო და საერთაშორისო ორგანიზაცია.

მიმდინარე წელს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გლობალური ასამბლეის“ (“GPA”) „გენდერის ჭრილში მონაცემთა დაცვის საკითხებზე“ ახალი სამუშაო ჯგუფის თანათავმჯდომარე გახდა. სამუშაო ჯგუფს სამსახური მექსიკის „გამჭვირვალობის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ეროვნულ ინსტიტუტთან“ (“INAI”) ერთად ხელმძღვანელობს. ჯგუფში გაერთიანებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის თხუთმეტამდე საზედამხედველო ორგანო და აგრეთვე, საერთაშორისო ორგანიზაცია. სამუშაო ჯგუფის მიზანია უზრუნველყოს მონაცემთა დაცვის პოლიტიკისა და პრაქტიკის შემუშავება, განხორციელება გენდერული საკითხების სენსიტიური ხასიათის გათვალისწინებით. სამუშაო ჯგუფი განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების პროცესში გენდერული ნიშნით წარმოშობილ რისკებს, რომელთა შემცირება და პრევენცია ხელს შეუწყობს ინკლუზიურობისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვას.

ასევე 2024 წელს, სამსახური გახდა „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გლობალური ასამბლეის“ (“GPA”) „მონაცემთა დაცვისა და სხვა უფლებების და თავისუფლებების შესახებ“ სამუშაო ჯგუფის ფარგლებში დაწესებული „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და ადამიანის უფლებების ჯილდოსთვის“ გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებული კანდიდატის გამოსავლენად შექმნილი კომიტეტის ერთ-ერთი წევრი. ჯილდოს დაწესების მიზანია საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და ადამიანის უფლებების მიმართულებით გამორჩეული ინიციატივის გამოვლენა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური განაგრძობს „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გლობალური ასამბლეის“ (“GPA”) საქმიანობასა და მის ქვეპლატფორმებში მონაწილეობას. მათ შორის, „ხელოვნური ინტელექტის შესახებ“ (“AI Working Group”) სამუშაო ჯგუფების პერიოდულ შეხვედრებში.

4.2.2. მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებსა და ღონისძიებებში

სამსახური აქტიურად მონაწილეობს „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის (108-ე კონვენციის) საკონსულტაციო კომიტეტის — “T-PD”-ის საქმიანობაში. კომიტეტი აერთიანებს 108-ე კონვენციის ხელშემკვრელ მხარეებს, ასევე, დამკვირვებლის სტატუსის მქონე სხვა სახელმწიფოების, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. კომიტეტი განმარტავს კონვენციის დებულებებს, ერთგვაროვანი პრაქტიკის იმპლემენტაციის მიზნით. აღსანიშნავია, რომ სამსახურის უფროსი წარადგენს საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს კომიტეტის პლენარულ სხდომებზე და უზიარებს ინფორმაციას ეროვნული კანონმდებლობისა და სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში სამსახური მონაწილეობდა „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გლობალური ასამბლეის“ (“GPA”) საქმიანობის ფარგლებშიც. მნიშვნელოვანი სიახლეა, რომ 2022 წელს სამსახურმა მოიპოვა ასამბლეის სამდივნოს შესარჩევი კომისიის წევრობა, სადაც იგი წარმოდგენილია მექსიკის, დიდი ბრიტანეთისა და შვეიცარიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებთან ერთად. სამსახურმა მონაწილეობა მიიღო კომისიის მიერ ასამბლეის სამდივნოს შერჩევის მიზნით მომზადებული დოკუმენტის არაერთი პროექტის შემუშავებაში და მომდევნო წელსაც აქტიურად იქნება ჩართული აღნიშნულ პროცესში. 2022 წელს, თურქეთში სამსახურის უფროსმა საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანო ასამბლეის ყოველწლიურ კონფერენციაზე წარადგინა, რომლის ძირითად თემას წარმოადგენდა: „ბალანსის საკითხი: კონფიდენციალურობა სწრაფი ტექნოლოგიური მიღწევების ეპოქაში“. 2023 წელს კი, სამსახურის უფროსმა ჰამილტონში (ბერმუდის კუნძულები) გამართული ასამბლეის 45-ე შეხვედრის დახურული სესიის პანელს – „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ტრენდები: წინ გადადგმული ნაბიჯები“ – გაუწია მოდერაცია. პანელი პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სფეროში არსებული სიახლეების, გამოწვევებისა და ძირითადი ტენდენციების მიმოხილვას დაეთმო. პანელის ფარგლებში მოხსენებით წარსდგნენ: იაპონიის პერსონალური მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს საერთაშორისო აკადემიური გაცვლის კომისარი, ჩუოს უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორ კაორი იშიი; ვაშინგტონის შტატში დაფუძნებული გლობალური პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ფორუმის ვიცე-პრეზიდენტი, დოქტორ გაბრიელა ზანფირ-ფორტუნა; მსოფლიოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ფორუმის დამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი, პემ

დიქსონი; იტალიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს საერთაშორისო და ევროკავშირის საკითხებში სამსახურის უფროსი, ლუიჯი მონტუორი; კოლუმბიის უნივერსიტეტის ნეიროტექნოლოგიური ცენტრის დირექტორი და "US BRAIN" ინიციატივის დამფუძნებელი, პროფესორი, დოქტორ რაფაელ იუსტე. წარდგენილი მოხსენებები დაეთმო ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით პერსონალური მონაცემების დამუშავებას, მის გავლენას ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებზე, „ჭკვიან ქალაქებს" ("Smart Cities"), განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემის — ნევროლოგიური მონაცემის დამუშავებას და სხვა თემატურ საკითხებს. ამასთანავე, ასამბლეის 45-ე შეხვედრაზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა, როგორც „მონაცემთა დაცვის შეფასების სამუშაო ჯგუფის" ("Working Group on Data Protection Metrics") თანათავმჯდომარემ, სამუშაო ჯგუფის აქტივობების შესახებ წლიური ანგარიში წარადგინა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციაში: „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სიმპოზიუმი" ("Privacy Symposium"), რომელსაც 2023 და 2024 წელს კა'ფოსკარის უნივერსიტეტმა (ვენეცია, იტალია) უმასპინძლა. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში, სამსახურის უფროსი ყოველწლიურად წარადგენს მოხსენებებს საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს მანდატზე, საქმიანობის ძირითად მიმართულებებსა და საერთაშორისო ურთიერთობებზე. 2023 წლის კონფერენციის ერთ-ერთი პანელი „ევროპის მონაცემთა დაცვის საბჭოს" ("EDPB") არაწევრ პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოთა შორის თანამშრომლობის ხელშეწყობას დაეთმო, რომლის ფარგლებში სამსახურის უფროსმა საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს მანდატზე, ეროვნულ კანონმდებლობასა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" ახალ კანონზე, სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობებზე, აგრეთვე, სამსახურის მიერ დაფუძნებული საერთაშორისო სარედაქციო კოლეგიის მქონე ორენოვანი, სამეცნიერო პერიოდული პუბლიკაციის – „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ჟურნალის" მნიშვნელობაზე ისაუბრა. 2024 წლის ღონისძიებაზე სამსახურის უფროსმა მოხსენებები კონფერენციის ორ პანელურ სესიაზე წარადგინა: „საერთაშორისო თანამშრომლობას მონაცემთა დაცვის, პოლიტიკისა და შესაბამისობის კვლევისთვის" და „ევროპულ პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებს შორის თანამშრომლობის გაფართოება ევროკავშირის ფარგლებს მიღმა". სესიების ფარგლებში ყურადღება იქნა გამახვილებული საუკეთესო ევროპული პრაქტიკის გაზიარებაზე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის „მონაცემთა დაცვის ევროპულ საბჭოსთან" ("EDPB"), „ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველთან" ("EDPS"), ევროპის საბჭოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის

სამმართველოსთან მჭიდრო თანამშრომლობის ფორმატებზე და საერთაშორისო აქტივობებზე, რომლებიც ევროპის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებთან ერთად იქნა განხორციელებული. მნიშვნელოვანია, რომ 2025 წლის ღონისძიების ერთ-ერთი პანელი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოთა ევროპული კონფერენციის“ გამართვის თაობაზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის გამოცდილების გაზიარებას დაეთმობა, რომლის ფარგლებშიც სამსახურის უფროსი რიგით 33-ე ევროპული კონფერენციის შინაარსს მიმოიხილავს.

სამსახურის თანამშრომლები, ასევე, ყოველწლიურად მონაწილეობენ „მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების ევროპული კონფერენციის“ ქვე-ჯგუფის — „ევროპული საქმისწარმოების სამუშაო შეხვედრებში“ (“European Case Handling Workshop (“ECHW”) შეხვედრებშიც. 2023 წლის შეხვედრა შვეიცარიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს ორგანიზებით გაიმართა, რომლის ფარგლებშიც სამსახურის თანამშრომლებმა მონაცემთა დაცვის კოლეგა საზედამხედველო ორგანოებს გაუზიარეს ინფორმაცია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალი კანონის თაობაზე, ასევე, გააცნეს საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს პრაქტიკა ცალკეულ საკითხებზე. 2023 წლის ღონისძიება დაეთმო პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის აქტუალურ საკითხებს და მონაწილე საზედამხედველო ორგანოების საუკეთესო გამოცდილებას, მათ შორის, მოჭარბებული ოდენობით საჩივრების მართვის, ტრანსსასაზღვრო საჩივრების განხილვისა და მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის (ინციდენტის) ინფორმირების პრაქტიკას. 2024 წლის ღონისძიებაზე, რომელიც ესტონეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს ორგანიზებით გაიმართა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა მოხსენება წარადგინეს მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისა და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგების საკანონმდებლო და პრაქტიკულ შემთხვევებთან დაკავშირებით. მიმდინარე წლის სამუშაო შეხვედრის ფარგლებში განხილული იქნა საზედამხედველო ორგანოებისთვის მნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხები, რომლებიც უკავშირდებოდა ვიდეომონიტორინგის განხორციელებას, მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასებას, ხელოვნურ ინტელექტს, საზედამხედველო ორგანოების კომპლექსურ გადაწყვეტილებებს და სხვა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ საქართველოს საზედამხედველო ორგანო გერმანიის მონაცემთა დაცვისა და ინფორმაციის თავისუფლების ფედერალური კომისრის ორგანიზებით გამართული

2023 წლის საერთაშორისო სიმპოზიუმზე: "Portals, Registers, Platforms – Digital and Transparent?" წარადგინა. სიმპოზიუმის მონაწილეებმა მონაცემთა დაცვის ევროპული საზედამხედველო ორგანოების წარმომადგენლებმა და საერთაშორისო ექსპერტებმა ინტერნეტსივრცეში პერსონალური ინფორმაციის გავრცელების, ღია მონაცემთა პლატფორმების, რეესტრებისა და პორტალების შესახებ იმსჯელეს. აღსანიშნავია, რომ ღონისძიების პარალელურად, უწყებებს შორის სამომავლო თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით, სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ მონაცემთა დაცვისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომის საკითხებში ბრანდენბურგის კომისართან, დაგმარ ჰარტგემთან შეხვედრა გამართა.

2023 წელს სამსახური ასევე მონაწილეობდა ჰიბრიდულ ფორმატში გამართულ კონფერენციაში: „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გზა" ("Ruta de la Privacidad"), რომელიც მექსიკის ხალისკოს შტატის „გამჭვირვალობის, საჯარო ინფორმაციისა და პერსონალური მონაცემების დაცვის ინსტიტუტის" ("ITEI"), მექსიკის „გამჭვირვალობის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ეროვნულ ინსტიტუტთან" ("INAI") კოორდინაციით, აგრეთვე, პერსონალური მონაცემთა დაცვის და „ეროვნული გამჭვირვალობის სისტემის" ("SNT") „პერსონალური მონაცემთა დაცვის კომისიის" ("CPDP") მოწვევით გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში კონფერენციის მონაწილეებმა განიხილეს პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები, აგრეთვე, კონფერენციის დამსწრე საზოგადოებას წარედგინა მოხსენება საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს მანდატსა და არასრულწლოვანთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიმართულებით სამსახურის გამოცდილებაზე.

2024 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა ყაზახეთის რესპუბლიკის ციფრული განვითარების, ინოვაციებისა და საჰაერო და კოსმოსური სივრცის ინდუსტრიის სამინისტროს მიწვევით ფორუმში — "Digital Almaty 2024" მიიღეს. პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და კიბერუსაფრთხოების სადისკუსიო პანელში, სამსახურის თანამშრომლებმა განიხილეს საქართველოს საზედამხედველო ორგანოს პრაქტიკა, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" ახალი კანონით გათვალისწინებული სიახლეები, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ვალდებულებები და მონაცემთა სუბიექტების უფლებები. ფორუმის პარალელურად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის წარმომადგენლებმა შეხვედრა გამართეს ყაზახეთის რესპუბლიკის ციფრული განვითარების, ინოვაციებისა და საჰაერო და კოსმოსური სივრცის ინდუსტრიის სამინისტროს ინფორმაციული უსაფრთხოების კომიტეტის

მდივანთან, რომლის დაქვემდებარებაშიც შედის ყაზახეთის რესპუბლიკის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანო.

მიმდინარე წლის აპრილში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის წარმომადგენლებმა ერევანში, რიგით V სომხურ-ქართულ სამართლებრივ ფორუმში მიიღეს მონაწილეობა. ფორუმის ფარგლებში გამართულ პანელურ სესიაზე, სამსახურის თანამშრომლებმა ისაუბრეს საქართველოს საზედამხედველო ორგანოს ინსტიტუციურ დამოუკიდებლობაზე, ორგანიზაციულ სტრუქტურაზე და მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლის მექანიზმებზე. ასევე, იმსჯელეს საკანონმდებლო სიახლეებზე, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებულ აქტივობებსა და საერთაშორისო თანამშრომლობაზე. თავის მხრივ სომხეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სააგენტოს უფროსმა, მიმოიხილა საზედამხედველო ორგანოს სტრუქტურა, საერთაშორისო თანამშრომლობა, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები. პლენარულ სესიაზე, ასევე, მოხსენებებით წარსდგნენ სომხეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სააგენტოს სხვა თანამშრომლები.

აღსანიშნავია, რომ საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით, მიმდინარე წელს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა საბერძნეთის კოლეგა საზედამხედველო ორგანოს მიერ ორგანიზებულ ონლაინ კონფერენციაშიც მიიღეს მონაწილეობა. კონფერენციის ფარგლებში, „მონაცემთა დაცვის ევროპულმა საბჭომ“ (“EDPB”) წარადგინა ახალი პროექტი ბიზნესსაქმიანობის განმახორციელებელი პირებისთვის, რომელიც ხელს შეუწყობს მათი საქმიანობის პარალელურად პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტის შენარჩუნებას.

2024 წლის სექტემბერში, სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ ჰააგაში, “EUROPOL”-ის მონაცემთა დაცვის ექსპერტთა ქსელის თანაორგანიზებით გამართულ კონფერენციაში: „მონაცემთა დაცვა და კიბერუსაფრთხოება, როგორც სამართალდამცავი ორგანოების ძირითადი საქმიანობა“ მიიღო მონაწილეობა. ღონისძიება ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, რომლის ფარგლებშიც განხილულ იქნა მონაცემთა უსაფრთხოება, დეზინფორმაცია, სამართალდამცავი ორგანოების მიერ სამეთვალყურეო ტექნოლოგიების კანონიერი გამოყენება, სამართალდამცავ ორგანოთა მონაცემთა დაცვის ოფიცრები და სხვა. აღსანიშნავია, რომ კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდნენ: “EUROPOL”-ის აღმასრულებელი დირექტორი — კატერინე დე ბოლი, სლოვენიის რესპუბლიკის პრეზიდენტი — ნატაშა პირც მუსარი და „ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველი“ (“EDPS”) — ვოიჩეკ ვივიოროვსკი.

მიმდინარე წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანამშრომლები პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შესახებ ჰიბრიდულ ფორმატში გამართულ კონფერენციას: "Privacy Conference 2024" დაესწრნენ, რომელიც გერმანიის ციფრული ასოციაციის — "Bitkom"-ის ორგანიზებით ჩატარდა. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო სამოცდაათამდე მომხსენებელმა, რომელთა შორის იყვნენ ევროკავშირისა და სხვადასხვა საზედამხედველო ორგანოს წარმომადგენლები, მსხვილი ტექკომპანიების თანამშრომლები, მათ შორის, "Microsoft", "Google", "OpenAI", "TikTok" და ა.შ. მომხსენებლებმა დამსწრე პირებს გაუზიარეს სამომავლო ხედვები პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით.

2024 წლის ნოემბერში, სტრასბურგში, სამსახურის უფროსის აპარატის ხელმძღვანელმა მონაწილეობა მიიღო ევროპის საბჭოს მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში — „ხელოვნური ინტელექტი და პერსონალურ მონაცემთა დაცვა: ურთიერთდაკავშირებული და ინტეგრირებული მიდგომები". საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ევროპის საბჭოს „ხელოვნური ინტელექტის კომიტეტის" ("CAI") წევრებმა, 108-ე კონვენციის საკონსულტაციო კომიტეტის ("T-PD") წევრებმა და დამკვირვებლებმა, ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების წარმომადგენლებმა, ასევე, აკადემიური წრის წარმომადგენლებმა. კონფერენციაზე ხაზგასმით აღინიშნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის სტრატეგია ევროპული სტანდარტების იმპლემენტაციის საკითხზე და წარედგინა სამსახურის ინსტიტუციური განვითარების გეგმა ევროპული საუკეთესო პრაქტიკის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საქმიანობაში დანერგვის მიმართულებით. წარდგენილი მოხსენების ფარგლებში, სამსახურის უფროსის აპარატის ხელმძღვანელმა ისაუბრა ხელოვნური ინტელექტისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ურთიერთმიმართებაზე, მონაცემთა დაცვის თვალსაზრისით ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობებისა და რისკების პროპორციულობის შესახებ. მან იმსჯელა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" ახალი კანონით გათვალისწინებულ ინსტიტუტებზე და მათ მნიშვნელობაზე ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესში.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მანდატის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და საგანმანათლებლო საქმიანობა წარმოადგენს. ამ მიზნით, სამსახური არაერთ აქტივობას მართავს, მათ შორის, საუნივერსიტეტო დაწესებულებებთან თანამშრომლობის ფარგლებში. 2024 წლის ნოემბერში, სამსახურის წარმომადგენლებმა და მიუნსტერის უნივერსიტეტის პროფესორმა — ტომას ჰოერენიმ, ივ, ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მხარდაჭერითა და ორგანიზებით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ქართული სამართალისა და ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ შესახებ საჯარო ლექცია-სემინარი ჩაატარეს.

აღსანიშნავია, რომ 2022 წლიდან, სამსახური აგრეთვე წარმოდგენილია გლობალური უსაფრთხოების (“GLOBSEC”) ფორუმზე, „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის საკითხებზე აღსრულების გლობალური ქსელსა“ (“GPEN”) და „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გამაძლიერებელი ტექნოლოგიების“ (“PETs”) სამუშაო შეხვედრებში.

5. თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან

პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკანონმდებლო ცვლილებების იმპლემენტაციის, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების, ასევე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ინსტიტუციური განვითარების მხარდაჭერის მიზნით, უწყება აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთანაც. 2022 წლიდან მათი მხარდაჭერით სამსახურმა არაერთი აქტივობა თუ ინიციატივა განახორციელა.

საანგარიშო პერიოდში სამსახურმა არაერთი აქტივობა განახორციელა ევროკავშირის (“EU”), ევროპის საბჭოს (“CoE”), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო სააგენტოს (“USAID”), ასევე, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (“GIZ”) საჯარო მმართველობის აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონული ფონდის, ევროკავშირისა (“EU”) და გაეროს განვითარების პროგრამის (“UNDP”) მხარდაჭერით. უწყება თანამშრომლობა „უსაფრთხოების კვლევების რეგიონალურ ინსტიტუტთან“ (“RISS”), ასევე, გაეროს პროექტების მომსახურების სამსახურთან (“UNOPS”), რომელიც არის ევროკავშირის პროექტ “Support to Advancing Technical Capacities for Ensuring Human Security” კოორდინატორი. გარდა ამისა, სამსახური მონაწილეობას იღებდა ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს პროექტის — „CyberEast“-ის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში, რომელიც კიბერინციდენტებთან დაკავშირებით უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლას, ინციდენტებზე რეაგირებას, ელექტრონული მტკიცებულებების მოპოვებასა თუ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებებს დაეთმო.

- *ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო სააგენტოს (“USAID”) მხარდაჭერით განხორციელებული აქტივობები*

საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით სამსახურს დონორულ მხარდაჭერას უწევს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (DAI/USAID) „საჯარო მმართველობის პროგრამა“, რომლის ფარგლებშიც საანაგრიშო პერიოდში არაერთი აქტივობა იქნა დაგეგმილი. პროგრამის ფარგლებში სამსახურისთვის შემუშავდა საზოგადოებასთან კომუნიკაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

აგრეთვე, პროექტის ფარგლებში მოწვეულ ექსპერტთან თანამშრომლობით, მომზადდა სახელმძღვანელო რეკომენდაცია — „მინიმალური სტანდარტი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრებისთვის“. სარეკომენდაციო დოკუმენტში

ჩამოყალიბებულია სტანდარტიზებული მიდგომები, რომლითაც იხელმძღვანელებენ, ერთი მხრივ, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირები პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთა დანიშვნის ან განსაზღვრის ეტაპზე, ხოლო მეორე მხრივ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის პროფესიით დაინტერესებული პირები გაეცნობიან ოფიცერთა მინიმალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნების ცოდნის, უნარებისა და პიროვნული მახასიათებლების, აგრეთვე, მათი უფლებებისა და პასუხისმგებლობის შესახებ საერთაშორისო დონეზე აღიარებულ სტანდარტს. ამასთანავე, დოკუმენტი განკუთვნილია მონაცემთა დაცვის ოფიცრების მომზადებისთვის შემუშავებული ტრენინგების შესაბამისობისა და ხარისხის უზრუნველყოფისთვის. აღსანიშნავია, რომ რეკომენდაციები ეყრდნობა ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციას“ და შეესაბამება ხარისხისა და პროფესიონალიზმის ევროპულ სტანდარტებს.

- *ევროკავშირის პროექტი: „უსაფრთხოების სექტორზე ზედამხედველობის მხარდაჭერა საქართველოში“*

2023 წლიდან არაერთი ინიციატივა განხორციელდა ევროკავშირის პროექტი მხარდაჭერით, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში ზედამხედველობის დამოუკიდებელი ორგანოების გაძლიერებას, რაც უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად სამართლიანობის და ადამიანის უფლებების დაცვას. პროექტის ერთ-ერთი ორიენტირია სამართალდამცავ ორგანოებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ხარისხის გაუმჯობესება, შესაბამისი სასწავლო პროგრამებისა და საინფორმაციო მასალების შემუშავება, ევროკავშირის წევრი ქვეყნების პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების გამოცდილების გაზიარების მექანიზმის შექმნის მხარდასაჭერად.

პროექტის ფარგლებში, 2023 წელს, სამსახურს საექსპერტო მისიით ესტუმრა ლატვიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს ხელმძღვანელი — იეკატერინა მაცუკა. სამუშაო შეხვედრაზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსმა მოწვეულ ექსპერტს, პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის (“GOPA PACE”) წარმომადგენლებს სამსახურის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია გაუზიარა, ასევე, ისაუბრა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალი კანონის იმპლემენტაციის საკითხზე და ამ პროცესში ევროპის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოთა საუკეთესო გამოცდილების გაზიარების აუცილებლობაზე. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, პროექტის მხარდაჭერითა და მოწვეული ექსპერტის მონაწილეობით, არაერთი აქტივობა განხორციელდა, მათ შორის, სამუშაო შეხვედრა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებთან

პერსონალურ მონაცემთა ახალი საკანონმდებლო მოწესრიგებით გათვალისწინებული ცვლილებების გაცნობის მიზნით, აგრეთვე, ორდღიანი ტრენინგი პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანამშრომლებისა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთათვის.

მიმდინარე წლის მარტში, პროექტის თანაორგანიზებით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანამშრომლებისთვის ორ დღიანი ტრენინგი — „პერსონალურ მონაცემთა დაცვის აქტუალური ტენდენციები და სამომავლო ნაბიჯები - თეორია და პრაქტიკა“ ჩატარდა. სამუშაო შეხვედრა მისასალმებელი სიტყვით პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსმა, „ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის“ (“EDPS”) გენერალუმა მდივანმა — ლეონარდო სერვერა ნავასმა და ევროკავშირის პროექტის წარმომადგენელმა — იოჰან ჰომესმა გახსნეს. ორ დღიან ტრენინგზე ლატვიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს ხელმძღვანელმა — ეკატერინა მაცუკამ, როგორც პროექტის ფარგლებში მოწვეულმა ექსპერტმა, სამსახურის თანამშრომლებს ახალი კანონით გათვალისწინებულ სიახლეებთან დაკავშირებით ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილება გაუზიარა. განხილულ იქნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, როგორიცაა: პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, მონაცემთა დაცვის ზეგავლენის შეფასება, ინციდენტის შეტყობინება, პროფაილინგი, არასრულწლოვანთა მონაცემების დამუშავების სპეციფიკა, დამუშავების პროცესში მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება, მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის საკითხები და სხვა.

- *ევროკავშირისა (“EU”) და გაეროს განვითარების პროგრამის (“UNDP”) პროექტი: „ადამიანის უფლებები ყველასთვის“*

საანგარიშო პერიოდში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ინიციატივითა და ევროკავშირისა (“EU”) და გაეროს განვითარების პროგრამის (“UNDP”) მხარდაჭერით არაერთი აქტივობა განხორციელდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სხვადასხვა საკითხზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით. საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები და ღონისძიებები გაიმართა სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფისათვის, მათ შორის, არასრულწლოვნებისთვის, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციისთვის. ამასთანავე, მიზნობრივი აუდიტორიისთვის შემუშავებულ იქნა საინფორმაციო ბუკლეტები და ილუსტრირებული პლაკატები როგორც ეთნიკური უმცირესობების (სომხურ და აზერბაიჯანულ) ენებზე, ისევე, არასრულწლოვნებისათვის.

პროგრამის მხარდაჭერითა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, დოქტორ კონსტანტინე კორკელიასთან თანამშრომლობით მომზადდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების კრებული, რომელიც აერთიანებს უახლეს, პრეცედენტულ პრაქტიკას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვასთან დაკავშირებით. ასევე, პროგრამის ფარგლებში მოწვეული ექსპერტის — ნევენა რუჟიჩის მონაწილეობით მომზადდა სახელმძღვანელო რეკომენდაციები ინსპექტირების ტექნიკისა და მეთოდების შესახებ, რომელიც ევროპის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით იქნა შემუშავებული. სახელმძღვანელო რეკომენდაციების მიზანია პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების (ინსპექტირების) პროცესის თანამიმდევრულად, ობიექტურად და ეფექტიანად წარმოება კანონმდებლობის, პროფესიული სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

- *ევროკომისიის ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტის (TAIEX) ფარგლებში განხორციელებული აქტივობა*

2022 წლის აპრილში, ევროკომისიის ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტის (TAIEX) მეშვეობით განხორციელებული ექსპერტული მისიის ფარგლებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანამშრომლებს ინსპექტირების მეთოდოლოგიის შესახებ სამდღიანი ტრენინგი ჩაუტარდათ. ღონისძიებას საქსონიის მონაცემთა დაცვის, ასევე, გერმანიის მონაცემთა დაცვისა და ინფორმაციის თავისუფლების ფედერალური კომისრის ოფისებიდან მოწვეული ექსპერტები გაუძღვნენ. სამდღიანი ონლაინ ტრენინგის ფარგლებში დეტალურად იქნა განხილული ინსპექტირების მეთოდოლოგიის სხვადასხვა ასპექტი: ინსპექტირების ფარგლები, მიზნები და ეტაპები; ინსპექტირების წლიური გეგმის შედგენისას გასათვალისწინებელი ფაქტორები; აგრეთვე, გერმანიის საზედამხედველო ორგანოების შიდა ორგანიზაციული პროცედურები და დოკუმენტები, ინსპექტირების სახეები და ინსტრუმენტები, ასევე, მონაცემთა დამმუშავებლის უფლებები და ვალდებულებები, ინსპექტირების საბოლოო ანგარიშის მომზადება. ტრენინგი ონლაინ შეხვედრის ფორმატში, ინტერაქტიულ რეჟიმში წარიმართა და მას სამსახურის ოცდახუთამდე თანამშრომელი დაესწრო.

- *ევროპის საბჭოს პროექტი: „მედიის თავისუფლების, ინტერნეტ მმართველობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის გაძლიერება საქართველოში“*

2023 წელს, პროექტის ფარგლებში, ჰიბრიდულ რეჟიმში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანამშრომლებისათვის გაიმართა სამუშაო შეხვედრა თემაზე: „მონაცემთა მეტად დაფარვის პრიორიტეტი, როგორც ალტერნატიული მიდგომის არჩევამდე ავტომატურად გამოყენებული საწყისი მეთოდი ახალი პროდუქტის ან მომსახურების შექმნისას“ (“Privacy by Design and by Default”), რომელსაც ევროპის საბჭოს მოწვეული ექსპერტი — ნანა ბოჭორიშვილი გაუძღვა. აღსანიშნავია, რომ ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, მოწვეული ექსპერტის მიერ შეფასდა „მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების ვალდებულების წარმომშობი გარემოებების დადგენის კრიტერიუმებისა და შეფასების წესის შესახებ“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ნორმატიული აქტის პროექტი, რომელზე დაყრდნობით გაცემული რეკომენდაციები იქნა გაზიარებული და ასახული ნორმატიული აქტის პროექტის საბოლოო ვერსიაში.

- *„გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს“ (“BMZ”) და „გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების“ (“GIZ”) პროექტი: „საჯარო სერვისების გაუმჯობესება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“*

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს სამსახური ბენეფიციარი მონაწილე გახდა პროექტის: „საჯარო სერვისების გაუმჯობესება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“. იგი „გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს“ (“BMZ”) და „გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების“ (“GIZ”) ფინანსური მხარდაჭერით მიზნად ისახავს შემდეგი აქტივობების განხორციელებას: პოლიტიკისა და სტრატეგიული კონსულტაციები; ორგანიზაციულ საკონსულტაციო მომსახურება; საექსპერტო დახმარება ადმინისტრაციული პროცესების დახვეწის კუთხით; პროცესებზე პასუხისმგებელი თანამშრომლებისა და ხელმძღვანელი პირების შემოქმედებითი შესაძლებლობების გაძლიერება; ქსელისა და დიალოგის პლატფორმების შექმნა; უწყვეტი სწავლისა და ცვლილებების ხელშეწყობა სტეიკჰოლდერების ურთიერთობის გზით.

საგულისხმოა, რომ პროექტის ფარგლებში არაერთი ღონისძიება გაიმართა, მათ შორის, 2022 წელს მოლდოვაში, კიშინიოვში პირველი რეგიონული სამუშაო შეხვედრა, რომელსაც აზერბაიჯანის, მოლდოვის, საქართველოსა და სომხეთის ბენეფიციარი უწყებებიდან 30-ზე მეტი მონაწილე დაესწრო. სამუშაო შეხვედრა განხორციელდა მოლდოვის ელექტრონული მმართველობის სააგენტოს ეგიდით და მოლდოვის საჯარო სერვისების სააგენტოს და მოლდოვაში „გერმანიის საერთაშორისო

თანამშრომლობის საზოგადოების“ (“GIZ”) წარმომადგენლობის თანაორგანიზებით. ღონისძიების მონაწილეებმა საჯარო მმართველობის რეფორმის კონტექსტში განიხილეს საჯარო მმართველობის ძირითადი ტენდენციები, გამოწვევები, ასევე ელექტრონული მმართველობისა და საჯარო სერვისების დიგიტალიზაციის მხარდასაჭერად აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში განსახორციელებელი ღონისძიებები. შეხვედრის ფარგლებში ასევე განხილულ იქნა სამსახურის სამომავლო გეგმები და მისი განხორციელების შესაძლებლობა პროექტის ფინანსური მხარდაჭერით.

პროექტის ფარგლებში, 2023 წლის დასაწყისში, პარიზში, პროექტის მონაწილე ქვეყნების ბენეფიციარი უწყებების მონაწილეობით გაიმართა ღონისძიება: "User-centric Design and Delivery", რომელზეც პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური უწყების უფროსის პირველმა მოადგილემ წარადგინა. ასევე 2023 წელს, თბილისში აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების წარმომადგენელთა ქსელის პირველი შეხვედრა გაიმართა. ღონისძიება განხორციელდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანაორგანიზებით. ღონისძიების პირველი დღე მისასალმებელი სიტყვით გახსნეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ და “GIZ”-ის მიერ იმპლემენტირებული “PAR” პროექტის რეგიონულმა მენეჯერმა — დოქტორ ჰრაჩიკ იარმალოიანმა. რეგიონული შეხვედრის პირველი დღის ფარგლებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა იმსჯელეს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალი კანონით გათვალისწინებულ სამართლებრივ ინსტიტუტებსა და არსებულ ტენდენციებზე.

ასევე პროექტის ფარგლებში, 2023 წლის სექტემბერში, ქ. ბრიუსელში გაიმართა სამუშაო შეხვედრა სახელწოდებით: „მონაცემთა დაცვა დასავლეთ ბალკანეთსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში“ (“Data-Protection in the Western Balkans and Eastern Partnership Region”), რომელიც საჯარო „მმართველობის რეგიონული სკოლის“ (ReSPA), ევროკავშირისა და ეთგო-ს „მმართველობისა და მენეჯმენტის გაუმჯობესების მხარდაჭერის“ პროგრამის (“SIGMA”/“OECD”), „რეგიონული თანამშრომლობის საბჭოს“ (“RCC”) და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (“GIZ”) ინიციატივით განხორციელდა. გამართულ შეხვედრებში მონაწილე ქვეყნების პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებმა განიხილეს მათი საკანონმდებლო მოწესრიგება და არსებული პრაქტიკა. ასევე, შეხვედრები გაიმართა „მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს“ (“EDPB”) თავმჯდომარესთან, „ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის“ (“EDPS”) ინსტიტუციის გენერალური მდივანთან, ბელგიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის

საზედამხედველო ორგანოს ხელმძღვანელთან, იტალიისა და ესპანეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოსა და ევროკავშირის სხვადასხვა ინსტიტუტის წარმომადგენლებთან. ღონისძიების მონაწილეები ასევე წარდგნენ „მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს“ (“EDPB”) რიგით 84-ე პლენარულ სხდომაზე, რომლის ფარგლებშიც პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის წარმომადგენლებმა ისაუბრეს საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკანონმდებლო მოწესრიგებაზე, უწყების მანდატსა და საქმიანობაზე.

აღსანიშნავია, რომ სამსახური მიმდინარე წელსაც აქტიურად მონაწილეობდა პროექტის ფარგლებში გამართულ სამუშაო შეხვედრათა კვირეულში სახელწოდებით: „პერსონალურ მონაცემთა დაცვის აკადემია დასავლეთ ბალკანეთისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონებისთვის“, რომელიც ბრიუსელში გაიმართა. ევროკომისიის იუსტიციისა და მომხმარებელთა გენერალური დირექტორატთან (“DG JUST”) თანამშრომლობით, მონაწილე ქვეყნების პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების წარმომადგენლებმა განიხილეს საკანონმდებლო რეგულირება, თანამედროვე პრაქტიკა და მათ წინაშე არსებული გამოწვევები. ასევე, ისაუბრეს ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ ერთგვაროვანი აღსრულების, ევროკავშირის მასშტაბით საჯარო სექტორზე ზედამხედველობის, “EUROJUST”-ისა და “EUROPOL”-ის პრაქტიკასა და საზედამხედველო ორგანოთა გამოცდილებაზე თანამედროვე გამოწვევებთან მიმართებით. ღონისძიების ფარგლებში, აკადემიის მონაწილეები შეხვდნენ „მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს“ ("EDPB") თავმჯდომარეს, „ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველსა“ (“EDPS”), ზედამხედველის გენერალ მდივანს, ასევე, ევროპის საბჭოს (“CoE”) პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამმართველოს წარმომადგენელს. ღონისძიება საჯარო „მმართველობის რეგიონალური სკოლის“ (“ReSPA”), ევროკავშირისა და ეთგო-ს „მმართველობისა და მენეჯმენტის გაუმჯობესების მხარდაჭერის“ პროგრამის (“SIGMA”/”OECD”), „რეგიონული თანამშრომლობის საბჭოს“ (“RCC”) და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (“GIZ”) ინიციატივითა და მხარდაჭერით, აგრეთვე, პროექტის - “EaP Regional Fund for Public Administration Reform” ფარგლებში, ევროკომისიის “DG JUST”-სთან თანამშრომლობით განხორციელდა.

აგრეთვე მიმდინარე წელს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის წარმომადგენლებმა ციფრულ ეპოქაში პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე სასწავლო და სამუშაო შეხვედრებში მიიღეს მონაწილეობა. ღონისძიება ტალინში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (“GIZ”) ორგანიზებითა და მხარდაჭერით „საჯარო სერვისების

მოდერნიზების“ (“Re-Engineering of Public Services”) პროექტის ფარგლებში ჩატარდა. სასწავლო და სამუშაო შეხვედრების მიზანს ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ (“GDPR”) იმპლემენტაციის პროცესში ესტონეთის გამოცდილების გაზიარება წარმოადგენდა. კვირეულის ფარგლებში განხილული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: საჯარო მონაცემთა ბაზებში პერსონალური მონაცემების დამუშავება; “GDPR”-თან დაკავშირებული პრაქტიკა; მონაცემთა გაზიარება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა; ინფორმაციული უსაფრთხოება; ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დაცვა; კიბერუსაფრთხოება; მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

აღსანიშნავია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა აგრეთვე მიიღეს მონაწილეობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში სახელმწიფო სერვისების მიწოდების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გამართულ სემინარშიც, რომელიც, ასევე, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისა (“GIZ”) და აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონული ფონდის მხარდაჭერით გაიმართა.

საგულისხმოა, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის იმპლემენტაციისა და მონაცემთა დაცვის ევროპული სტანდარტის დანერგვის ხელშესაწყობად, საანგარიშო პერიოდში, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (“GIZ”) საჯარო მმართველობის აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონული ფონდის პროექტის მხარდაჭერით მომზადდა „მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს“ (“EDPB”) მიერ მიღებული სახელმძღვანელო რეკომენდაციების არაოფიციალური, ქართულენოვანი თარგმანი შემდეგ თემატიკაზე:

— სახელმძღვანელო რეკომენდაცია გამჭვირვალობის პრინციპის შესახებ;
— სახელმძღვანელო რეკომენდაცია თანხმობის შესახებ;
— სახელმძღვანელო რეკომენდაცია მონაცემთა სუბიექტებისათვის ონლაინ სერვისების მიწოდების კონტექსტში პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ;
— სახელმძღვანელო რეკომენდაცია მონაცემთა პორტირების უფლების შესახებ;
— სახელმძღვანელო რეკომენდაცია მონაცემთა მეტად დაფარვის პრიორიტეტი, როგორც ალტერნატიული მიდგომის არჩევამდე ავტომატურად გამოყენებული საწყისი მეთოდი ახალი პროდუქტის ან მომსახურების შექმნისას;
— სახელმძღვანელო რეკომენდაცია ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებისა და პროფაილინგის შესახებ;

— სახელმძღვანელო რეკომენდაცია პერსონალური მონაცემების ვიდეო მოწყობილობებით დამუშავების შესახებ;
— სახელმძღვანელო პრინციპები სოციალური მედიის მომხმარებელთა მიზნობრივი შერჩევის (პირთა სასურველი წრისთვის ინფორმაციის შეთავაზების) შესახებ;
— სახელმძღვანელო პრინციპები ვირტუალური ხმოვანი ასისტენტების შესახებ;
— სახელმძღვანელო პრინციპები „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მიხედვით ადმინისტრაციული ჯარიმის გამოანგარიშების წესის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ინსტიტუციური ცნობადობის ამაღლების მიზნით, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (“GIZ”) აღმოსავლეთ პარტნიორობის ფონდის პროექტის მხარდაჭერით, 2023 წელს, საზოგადოებას სამსახურის ახალი საიმიჯო ვიდეორგოლი წარედგინა. ვიდეორგოლი მაყურებელს ინფორმაციას აწვდის პერსონალური მონაცემების დაცვის მნიშვნელობისა და საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს მანდატის შესახებ.

- *ევროკავშირის პროექტი: „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“*

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, 2023 წელს, პროექტის ფარგლებში, ჩატარდა ტრენინგი კეთილსინდისიერების თემატიკაზე. სამუშაო შეხვედრების ფარგლებში ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების საკითხებში უფროსმა ექსპერტმა — ჰენდრიკუს ვან ბოქსმეერმა და ტრენერმა — ნინო ცუხიშვილმა, კეთილსინდისიერების კონცეფციაზე, მართვის ინსტრუმენტებსა და პოლიტიკის აღსრულების მექანიზმებზე ისაუბრეს.

- *საქართველოში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დელეგაციასთან თანამშრომლობა*

2022 წელს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსმა საქართველოში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დელეგაციის ხელმძღვანელთან — ანნ მონტავონთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე განხილულ იქნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მანდატი და საქმიანობის ძირითადი

მიმართულებები, აღინიშნა უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა პერსონალური მონაცემების დაცვის აუცილებლობა, ამ მიმართულებით სამსახურის მიზანი საზოგადოებაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის კულტურის ამაღლებასა და ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების საჭიროებაზე. შეხვედრაზე აგრეთვე აღინიშნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის აქტიური ჩართულობა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის უწყებათაშორისი კომისიის სამუშაო შეხვედრაში და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმპლემენტაციის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებაში. თავის მხრივ, დელეგაციის ხელმძღვანელმა კი ისაუბრა საქართველოში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის საქმიანობაზე, განხორციელებულ აქტივობებზე და მზადყოფნა გამოთქვა უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან აქტიურ თანამშრომლობაზე. შეხვედრის ფარგლებში მხარეებში შეთანხმდნენ ერთობლივი ღონისძიებების, კონფერენციების განხორციელებაზე, რომელიც თემატურად უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებს შეეხება.

6. საქართველოს სახელით წარსადგენი პერიოდული ანგარიშების მომზადებაში მონაწილეობა

საანგარიშო პერიოდში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს სახელით წარსადგენი სხვადასხვა პერიოდული ანგარიშების მომზადებაშიც. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2021-2027 წლების დღის წესრიგით გათვალისწინებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის მოკლე და გრძელვადიანი პრიორიტეტების შესრულების მიზნით, საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ არაერთი აქტივობა განხორციელდა, მათ შორის, საერთაშორისო დონეზე. აგრეთვე, ევროინტეგრაციის გზაზე სამსახურმა აქტიური როლი შეასრულა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის საქართველოსთვის მისანიჭებლად შესასრულებელი ამოცანების განხორციელებასა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისოსამართლებრივ ინსტრუმენტებთან დაახლოებისა და საუკეთესო ევროპული პრაქტიკის იმპლემენტაციის შესახებ შესაბამისი ანგარიშების მომზადებაში.

2022 წლის ივლისში, ჟენევაში, საქართველოს დელეგაციამ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტში „სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ“ საერთაშორისო პაქტის შესრულების თაობაზე საქართველოს V პერიოდული ანგარიში წარადგინა. ქართულმა მხარემ გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტს ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა წინა პერიოდული ანგარიშის მოსმენის შემდეგ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური რეფორმების შესახებ, რომლებიც მიზნად ისახავს საქართველოში ადამიანის უფლებების ეფექტიან უზრუნველყოფასა და საერთაშორისო ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას.

აღსანიშნავია, რომ შეხვედრაზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ ფარულ საგამოძიებო მოქმედებების ზედამხედველობის განხორციელების ფარგლებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მანდატზე ისაუბრა.

ასევე 2022 წლის დეკემბერში, ბრიუსელში, გაიმართა იუსტიციის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების საკითხებზე საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ქვეკომიტეტის რიგით VIII შეხვედრა, რომლის ფარგლებში საქართველოს დელეგაციამ ევროკავშირის

ორგანოებს იუსტიციისა და სამართლის უზენაესობის მიმართულებით განხორციელებული რეფორმები გააცნო. ქვეკომიტეტის სხდომაზე, განხილულ იქნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მანდატი, მისი ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები და დარგის საკანონმდებლო მოწესრიგება.

2024 წელს, ჟენევაში, სამსახურის უფროსი გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭოს (“HRC”) 55-ე სესიაზე პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების საკითხებში სპეციალურ მომხსენებელთან ინტერაქტიული დიალოგის ფარგლებში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ახალი საკანონმდებლო მოწესრიგების შესახებ მოხსენებით წარსდგა. ინტერაქტიული დიალოგის ფარგლებში განხილულ იქნა სპეციალური მომხსენებლის — დოქტორ ანა ბრაიენ ნოგრერესის მიერ მომზადებული ანგარიში თემაზე: „ციფრულ ეპოქაში პერსონალური მონაცემის დაცვისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სამართლებრივი გარანტიები“, რომელიც შედარებითსამართლებრივ კონტექსტში წარმოადგენს ხუთი სხვადასხვა კონტინენტის სახელმწიფოთა ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ მონაცემთა სუბიექტის უფლებებს და მათი დაცვის სამართლებრივ მექანიზმებს. საგულისხმოა, რომ წევრი ქვეყნების წარმომადგენლები ინტერაქტიული დიალოგის ფორმატში გამოეხმაურნენ სპეციალური მომხსენებლის ანგარიშში განხილულ სხვადასხვა საკითხს. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსმა წარდგენილ მოხსენებაში ისაუბრა პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკანონმდებლო სიახლეების შესახებ, ასევე, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალი კანონით გათვალისწინებული მონაცემთა სუბიექტთა უფლებების სამართლებრივი დაცვის მექანიზმებზე, ხოლო მოხსენების დასასრულს, მადლობა გადაუხადა სპეციალურ მომხსენებელს, გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭოს და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის სახელით კიდევ ერთხელ გამოთქვა მზაობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის კულტურისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით თანამშრომლობის თაობაზე.

7. 28 იანვარი — პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო დღე

მონაცემთა დაცვის საერთაშორისო დღე, ევროპის საბჭოს 2006 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებით, ყოველწლიურად, 28 იანვარს აღინიშნება და „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს 1981 წლის კონვენციის ხელმოწერისთვის გახსნის თარიღს უკავშირდება. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, მსგავსად საზღვარგარეთის ქვეყნების პერსონალურ მონაცემთა დაცვის კოლეგა საზედამხედველო ორგანოებისა, ყოველი წლის 28 იანვარს მართავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას, რომელიც საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებულ არაერთ აქტივობას აერთიანებს.

2023 წლის ღონისძიებაზე, სამსახურის უფროსმა დამსწრე აუდიტორიას სამსახურის პირველი, სამეცნიერო, ორენოვანი, საერთაშორისო სარედაქციო კოლეგიის მქონე პუბლიკაციის — „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ჟურნალის“ პირველი გამოცემა. ღონისძიებაზე სამსახურის უფროსმა აუდიტორიას პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში იურიდიული კლინიკის დაფუძნების შესახებ აცნობა, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტებს საშუალებას მისცემს, გაიარონ იურიდიული პრაქტიკა საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოში. ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებას ასევე წარედგინა ხუთი ვიდეორგოლი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის თემატიკაზე. დაინტერესებული პირებისთვის ჩვევად ქცევის ფსიქოლოგიაზე საჯარო ლექცია გაიმართა, რომლის ფარგლებშიც ყურადღება გამახვილდა პირადი ინფორმაციის დაცვის მნიშვნელობაზე. მსმენელებმა ინფორმაცია მიიღეს სამსახურის კამპანიის შესახებ „#აქციეჩვევად“ პერსონალური მონაცემების დაცვა, რომელიც საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ემსახურებოდა. აღსანიშნავია, რომ პერსონალურ მონაცემთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა აქტივობები მოსწავლეებისთვისაც გამართა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის მნიშვნელობაზე ბავშვებს ,,ღია გაკვეთილი“ სამსახურის წარმომადგენლებმა ჩაუტარეს. დაწყებითი კლასის მოსწავლეებისთვის კი პერსონალური მონაცემების შესახებ სპეციალურად მათთვის შერჩეული ფორმით მიეწოდათ ინფორმაცია. 2023 წლის ღონისძიებას ორმოცდაათამდე სტუმარი ესწრებოდა, მათ შორის საქართველოს პარლამენტის წევრები, მოსამართლეები, საჯარო, აკადემიური და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

2024 წლის ღონისძიებაზე, სამსახურის უფროსმა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალი კანონის იმპლემენტაციის პროცესი მიმოიხილა და საზოგადოებას იმ აქტივობების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია, რომელიც სამსახურმა ახალი კანონის მიღების შემდეგ განახორციელა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსმა ასევე ისაუბრა სამსახურის საერთაშორისო თანამშრომლობაზე და „მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს“ (“EDPB”) საქმიანობის დამკვირვებლის სტატუსი მოპოვების შესახებ. დამსწრე აუდიტორიას წარედგინა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის“ ჟურნალის მეორე გამოცემა და არასრულწლოვანთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ახალი გზამკვლევი წარუდგინა. ღონისძიებაზე გაიმართა საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით მომზადებული ვიდეო-რგოლების პრეზენტაციაც, რომელიც სამსახურმა 28 იანვრისთვის კამპანიის — ,,კონფიდენციალურობა შენი უფლებაა“ ფარგლებში მოამზადა.

8. საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული სხვადასხვა აქტივობა

- *„პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ჟურნალი“*

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის დარგის განვითარებისა და სამეცნიერო სადისკუსიო პლატფორმის ხელშეწყობის მიზნით, 2022 წლიდან, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური გამოსცემს სრული ღია წვდომის, საერთაშორისო სარედაქციო კოლეგიის მქონე, ორენოვან, სამეცნიერო, პერიოდულ გამოცემას — „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ჟურნალი“[2]. მისი დაარსება ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის“ ამოქმედების მეოთხე საიუბილეო თარიღს დაუკავშირდა. ჟურნალის ძირითადი ორიენტირი საჯარო სამართლის დარგობრივი მიმართულებით შედარებითსამართლებრივი დისკურსის წარმართვა და მკვლევართა საერთაშორისო, სამეცნიერო პლატფორმის ჩამოყალიბებაა. ჟურნალში ქვეყნდება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის დარგში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომები სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე. ჟურნალის მისიაა საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ევროპულ სამართალთან, საერთაშორისო დონეზე აღიარებულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციის პროცესის ხელშეწყობა და დარგობრივი კვლევის შედეგების გაზიარება აკადემიური წრის, პრაქტიკოსი იურისტებისა და ზოგადად, მონაცემთა დაცვისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების თემატიკით დაინტერესებული პირებისთვის.

აღსანიშნავია, რომ ჟურნალის საერთაშორისო სამეცნიერო სტატუსის მოპოვების, მისი ცნობადობის და ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, გამოცემა 2023 წლის ივლისში ინტეგრირებულია “HeinOnline”-ის სამეცნიერო ბაზაში. ინდექსირების მიზნით, ჟურნალი სხვადასხვა კრიტერიუმის გათვალისწინებით, მათ შორის, მისი საგამომცემლო პოლიტიკის, მისიის, აკადემიური სტანდარტების მიხედვით შეფასდა და “HeinOnline”-ის სამეცნიერო ბაზის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით, დადებითად გადაწყდა მისი ინტეგრირების საკითხი. სამეცნიერო ჟურნალის თითოეულ ნომერში გამოქვეყნებული პუბლიკაციები “HeinOnline”-ის სამეცნიერო ბაზაში მიმდინარე წლის ოქტომბრიდან იქნება ხელმისაწვდომი.

[2] იხ. ჟურნალის ოფიციალური ვებ გვერდი, <www.journal.pdps.ge>.

ჟურნალი გამოიცემა წელიწადში ორჯერ, მატერიალური და ელექტრონული ფორმით და დაინტერესებული პირებისთვის იგი ხელმისაწვდომია საჯაროდ. საანგარიშო პერიოდში გამოიცა ჟურნალის სამი ნომერი, რომელიც ქართველ და უცხოელ მკვლევართა, საქართველოსა და ევროპის პროფესორების, ევროკავშირის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების ხელმძღვანელთა პუბლიკაციებს აერთიანებს.

- *საერთაშორისო პუბლიკაციები*

„პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ასამბლეის“ (“GPA”) 2022 წლის მაისის თვის საინფორმაციო ბიულეტენში გამოქვეყნდა ინფორმაცია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მანდატის, მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებისა და საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ.[3] მოგვიანებით, ასევე 2022 წლის სექტემბრის თვის საინფორმაციო ბიულეტენი, სხვა პუბლიკაციებთან ერთად, ასევე დაეთმო სამსახურის უფროსის სტატიას თემაზე: “Privacy Data Protection and Gender-Sensitive Issues in Georgia”.[4] სტატიაში აღნიშნულია, ევროპულ სამართლებრივ ჩარჩოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების დამოუკიდებელი მნიშვნელობა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებისგან. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვისას, გენდერულ ასპექტებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურიც ითვალისწინებს. გამოქვეყნებულ ნაშრომში, სამსახურის უფროსმა აღნიშნა მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებთან საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით სამსახურის მიერ განსახორციელებელი სამომავლო საერთაშორისო აქტივობები და სადისკუსიო პლატფორმის უზრუნველსაყოფად სამსახურის მიერ დაფუძნებული პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი.

2023 წელს „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ასამბლეის“ ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ინტერვიუ, რომელიც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალ კანონს, სამსახურის მიერ „მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს“ (“EDPB”) საქმიანობის დამკვირვებლის სტატუსის მოპოვების საკითხსა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის

[3] GPA, Newsletter, Issue 2, May, 2022, p. 6, <https://globalprivacyassembly.org/wp-content/uploads/2022/06/Newsletter_GPA-may2022-v.3.pdf>.
[4] GPA, Newsletter, Issue 3, September, 2022, p. 7-8, <https://globalprivacyassembly.org/wp-content/uploads/2022/09/Newsletter-GPA_29-sep-final.pdf>.

სამსახურის საქმიანობის სხვადასხვა აქტივობას შეეხება.[5] ინტერვიუს ფარგლებში, სამსახურის უფროსმა, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით სამსახურის მიერ განხორციელებულ სხვადასხვა ინიციატივებთან ერთად, ასევე, ისაუბრა „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ასამბლეის“ წევრობის გამოცდილებაზე. როგორც ასამბლეის წევრი, საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური მონაწილეობს მონაცემთა დაცვის გლობალური პოლიტიკის ფორმირებაში და არის აქტიური ინიციატორი დარგობრივი დისკუსიების წარმართვაში. ინტერვიუს დასასრულს, სამსახურის უფროსმა გამოთქვა საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს მზაობა, აქტიურად განაგრძოს თანამშრომლობა ასამბლეის მიზნებისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით.

- *საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების სამომავლო პერსპექტივები*

2025 წლიდან პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური კორპორაციული წევრის სტატუსით შეუერთდება „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარგის ექპერტების საერთაშორისო ასოციაციას“ (“IAPP”). ასოციაციის კორპორაციული წევრობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს მნიშვნელოვან უპირატესობას მიანიჭებს მისი ინსტიტუციური განვითარებისა და სტრატეგიული მიზნების შესაბამისად. განსაკუთრებით აღსანიშნავია ასოციაციის წევრის სტატუსის მეშვეობით საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოვებისა და მონაცემთა დაცვის გლობალურ სტანდარტებთან ჰარმონიზაციის შესაძლებლობა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია რამდენიმე ბენეფიტი, რომელსაც ასოციაცია მის კორპორაციულ წევრ უწყებას სთავაზობს:

- **რესურსები და კვლევა:** ასოციაციის პლატფორმაზე განთავსებულია ონლაინ ბიბლიოთეკა, საზედამხედველო ორგანოების გადაწყვეტილებები, ანგარიშები და სხვა მნიშვნელოვანი მასალები მონაცემთა დაცვის სფეროში, რომელიც სამსახურს დაეხმარება ჰქონდეს განახლებული ინფორმაცია ამ მიმართულებით მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებსა და სიახლეებზე.
- **თანამშრომელთა პროფესიული განვითარება:** ასოციაციის მეშვეობით სამსახურის თანამშრომლებს მიეცემათ საშუალება, შეღავათიანი პირობებით მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სასერტიფიკატო პროგრამებში (მაგალითად: Certified Information Privacy Professional (CIPP) და Certified Information Privacy

[5] იხ. ასამბლეის ოფიციალური ვებ გვერდი, <https://globalprivacyassembly.org/regulating-the-digital-economy-why-privacy-and-competition-authorities-should-talk-to-each-other-copy-copy-2-copy-copy-copy/>.

Manager (CIPM)), რაც გააღრმავებს მათ კვალიფიკაციას და გააუმჯობესებს უნარებს.

- **საერთაშორისო ცნობადობა:** ასოციაციის გლობალური ქსელი საშუალებას მისცემს სამსახურს უშუალოდ დაამყაროს კონტაქტი და ითანამშრომლოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სფეროში სხვადასხვა ქვეყნის ექსპერტებთან. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება გააფართოებს სამსახურის შესაძლებლობებს.
- **ინსტიტუციური განვითარება:** ასოციაციის კორპორაციული წევრობა ეხმიანება სამსახურის სტრატეგიული განვითარების კონცეფციას, რომლის ერთ-ერთი მიზანია საზოგადოებაში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის კულტურის განვითარება, ასევე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების იმპლემენტაცია პრაქტიკაში.
- **რეპუტაციული სარგებელი:** ასოციაციის კორპორაციული წევრობა მიანიშნებს საზედამხედველო ორგანოს სურვილზე, იყოს საერთაშორისო ტენდენციების შესახებ მუდმივად ინფორმირებული, რაც დადებითად აისახება საზედამხედველო ორგანოს საერთაშორისო რეპუტაციასა და წარმომადგენლობაზე.

საგულისხმოა, რომ 2024 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა ასევე წარადგინა განაცხადი „მონაცემთა დაცვის იბერო-ამერიკული ქსელის“ დამკვირვებლის სტატუსის მოპოვების მიზნით. აღსანიშნავია, რომ მომდევნო წელს მაისში, კოლუმბიაში, ქალაქ კარტახენა დე ინდიასში სქელის პლენარულ სხდომაზე მიღებულ იქნება გადაწყვეტილება სამსახურისთვის დამკვირვებლის სტატუსის მინიჭების თაობაზე. „მონაცემთა დაცვის იბერო-ამერიკული ქსელი“ შექმნა 2003 წელს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოთა შორის საუკეთესო პრაქტიკისა და სტანდარტების გაზიარების მიზნით.

პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური

© პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, 2024

მის.: საქართველო, თბილისი, ნ. ვაჩნაძის N7, 0105
ბათუმი, ბაქოს N 48, 6010

ტელ.: (+995 32) 242 1000
E-mail: office@pdps.ge
www.pdps.ge